საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტის

შესრულების წლიური ანგარიში

თებერვალი, 2025

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

<u>პრიორიტეტი 2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

2.4 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება **(პროგრამული კოდი: 26 02)**

2.4.1 პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება **(პროგრამული კოდი: 26 02 01)**

2.4.2 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა **(პროგრამული კოდი: 26 02 02)**

2.4.3 პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება **(პროგრამული კოდი: 26 02 03)**

2.20 დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია **(პროგრამული კოდი: 26 06)**

<u>პრიორიტეტი 4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება</u>

4.19 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება **(პროგრამული კოდი: 26 04)**

<u>პრიორიტეტი 6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა</u>

6.2 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება **(პროგრამული კოდი: 26 01)**

6.4 მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი: 26 08)**

6.12 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა **(პროგრამული კოდი: 26 03)**

6.14 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი 26 07)**

6.15 საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) **(პროგრამული კოდი: 26 09)**

6.16 ელექტრონული მმართველობის განვითარება **(პროგრამული კოდი: 26 05)**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი: 26 11)**

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი: 26 13)**

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება **(პროგრამული კოდი: 26 12)**

<u>პრიორიტეტი 2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>

2.4 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება **(პროგრამული კოდი: 26 02)**

პროგრამის განმახორციელებელი – სპეციალური პენიტენციური სამსახური

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**
26 02	პროგრამა – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	275,000.00	274,335.80	274,317.97	100%
26 02 01	ქვეპროგრამა – პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება	212,000.00	222,120.00	222,102.37	100%
26 02 02	ქვეპროგრამა – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა	11,000.00	11,610.00	11,610.00	100%
26 02 03	ქვეპროგრამა – პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	52,000.00	40,605.80	40,605.60	100%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პენიტენციური სისტემის სრულყოფისათვის და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით გაგრძელდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა

მიღწეული საბოლოო შედეგები
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები და რეფორმები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** – პენიტენციური სისტემის მართვა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – პენიტენციურ სისტემის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები გატარდა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის და თანამშრომელთა შრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით ახალი პენიტენციური კოდექსის ამოქმედების შემდგომ 2024 წლის განმავლობაში სხვადასხვა ცვლილება შევიდა არსებულ ნორმატიულ აქტებში; შემუშავდა და დამტკიცდა ახალი სამართლებრივი აქტები.

2. **ინდიკატორის დასახელება** – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ის უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად ბრალდებულები და მსჯავრდებულები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – ბრალდებულები და მსჯავრდებულები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ.

3. **ინდიკატორის დასახელება** – პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის გაუმჯობესებულია ყოფითი და საცხოვრებელი პირობები

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – აშენებულია და ფუნქციონირებს 1 ახალი დაწესებულება. მიმდინარეობს 1 ახალი დაწესებულების მშენებლობა. არსებულ დაწესებულებებს ჩაუტარდა რემონტი-რეკონსტრუქცია და აღიჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებით.

2.4.1. პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება **(პროგრამული კოდი: 26 02 01)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი – სპეციალური პენიტენციური სამსახური

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიით მუშაობა მიმდინარეობდა 1 175 ბენეფიციართან;

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა, პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% (რომელთაც კანონით ეკუთვნით) უზრუნველყოფილია უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით;

პენიტენციურ სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, ასევე, იმ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა 100%, რომელთაც ეკუთვნით სასურსათო უზრუნველყოფა;

პენიტენციურ სისტემაში თანამშრომელთა სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით შენარჩუნებულია სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა სისტემის იმ თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100%-თვის, რომელთაც ეკუთვნით კანონის გათვალისწინებით;

პენიტენციური სისტემის 9 დაწესებულებაში დანერგილია სპორტის მართვის სტრატეგია;

პენიტენციური სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით გადამზადებულია 1 319 კვალიფიციური კადრი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

სისტემის ეფექტიანი მართვა და ფუნქციონირების გაუმჯობესება;

პენიტენციურ სისტემაში კვებითი მომსახურების შენარჩუნება;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა;

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

სისტემის ეფექტიანი მართვა და ფუნქციონირება გაუმჯობესებულია;

პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებულია გაუმჯობესებული 3-ჯერადი კვებითი მომსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;

პენიტენციური სისტემა აღჭურვილია უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით;

მიმდინარეობს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** – სისტემის ეფექტიანი მართვა და ფუნქციონირების გაუმჯობესება კვალიფიციური კადრებით.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს 600 გადამზადებული კვალიფიციური კადრი

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – გაზრდილია 100%-ით წინა წელთან შედარებით

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – 119.8%

2. **ინდიკატორის დასახელება** – პენიტენციურ სისტემაში კვებითი მომსახურების შენარჩუნება.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 100%

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 100%

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – 100%

3. **ინდიკატორის დასახელება** – პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – ბრალდებულ/მსჯავრდებულთა, პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა (რომელთაც კანონით ეკუთვნით) უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა შენარჩუნებულია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 100%

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – 100%

4. **ინდიკატორის დასახელება** – ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებთანაც მიმდინარეობს შემთხვევის მართვის განახლებული მეთოდოლოგიით მუშაობა.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – პენიტენციურ სისტემაში სარეაბილიტაციო, სატრენინგო და საგანმანათლებლო სწავლების პროგრამებსა და შრომით საქმიანობაში პატიმართა ჩართვის უზრუნველყოფა ხდება შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიითა და გამოკითხვის შედეგების მიხედვით. შემთხვევის მართვის განახლებული მეთოდოლოგიით მუშაობა მიმდინარეობს 700 ბენეფიციართან.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – არანაკლებ 5%-ით გაზრდილია იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებთანაც შემთხვევის მართვის განახლებული მეთოდოლოგიით მიმდინარეობს მუშაობა.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – 67.9%.

5. ინდიკატორის დასახელება – დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია სპორტის მართვის სტრატეგია.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – სპორტის მართვის სტრატეგია დანერგილია 6 პენიტენციურ დაწესებულებაში.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – არანაკლებ 50%-ით გაზრდილია იმ პენიტენციური დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია სპორტის მართვის სტრატეგია.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – 50%-ით არის გაზრდილი პენიტენციური დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია სპორტის მართვის სტრატეგია.

2.4.2. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა **(პროგრამული კოდი: 26 02 02)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი – სპეციალური პენიტენციური სამსახური

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო პუნქტების/ნაწილების მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით;

ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 50 601 სკრინინგი;

„DOTS“ და „DOTS+“ მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 32 ახალი პაციენტი;

აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით ჩატარდა 6 954 სკრინინგი, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია. აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 28 ახალი პაციენტი;

C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ 7 079 სკრინინგი. მკურნალობაში ჩაერთო 345 პირი;

სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ ბრალდებულებს/ მსჯავრდებულებს გაეწიათ 38 824 კონსულტაცია;

ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა 5 860-ჯერ ისარგებლეს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით სამოქალაქო სექტორის კლინიკებში. პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულებებში, ჯამში, განხორციელდა 2 206 რეფერალი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;

მიღწეული შუალედური შედეგები
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შენარჩუნებული და გაუმჯობესებულია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 100%

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 100%

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – 100%

2.4.3. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება **(პროგრამული კოდი: 26 02 03)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი – სპეციალური პენიტენციური სამსახური

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პატიმართა და თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნისა და პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით:

- დასრულდა:
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების მიწოდება-მონტაჟი;
  - ✓ ცენტრალიზებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის აპარატურის და ლიცენზიების მიწოდება-მონტაჟი;
  - ✓ ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ სამზარეულოში ვიდეოსამეთვალყურეო აპარატურის მიწოდება-მონტაჟი;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთ დაწესებულებაში ელექტროსარეზერვო ხაზის (ხაზოვანი ნაგებობის) მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის 1 ერთეული სატვირთო ავტომობილის და 3 ერთეული სამგზავრო ავტობუსის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის აპარატურის შესყიდვა;
  - ✓ პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეოსაკონფერენციო სისტემის კომპლექტის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების საჭიროებისათვის სახანძრო სისტემების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის სამხრე კამერების სისტემის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი პენიტენციური დაწესებულების სარეზერვო ელექტრომომარაგების ხაზის მოწყობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადების სამუშაოები;
  - ✓ ერთი პენიტენციური დაწესებულების საჭიროებისათვის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონიტორების მიწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ გათბობა-გაგრილების კონდიციონერების მიწოდებისა და მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ 2 პენიტენციური დაწესებულების საჭიროებისათვის წყლით გაგრილების კედლის ვენტილატორების მიწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს საჭიროებისათვის საბაზო რადიოსადგურის მიწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის სხვადასხვა სპორტული საქონლის და აღჭურვილობის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი დაწესებულების საჭიროებისათვის სამზარეულო მოწყობილობების მიწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ 2 ერთეული ბარგის შესამოწმებელი სკანერის შესყიდვა;

- ✓ პენიტენციური დაწესებულების საჭიროებისათვის 2 ცალი ადამიანის სხეულის შესამოწმებელი რენტგენოსკანერების მონტაჟით და თანმდევი მომსახურებით შესყიდვა;
- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული შენობის ერთი სართულის და სახურავის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ პენიტენციური დეპარტამენტის საჭიროებისათვის 7 ერთეული ყველგან მავალი სატრანსპორტო საშუალების (ბაგი) შესყიდვა;
- ✓ ერთი პენიტენციური დაწესებულების სგპ-ის შენობის, ასევე, გრძელვადიანი პაემნის შენობების მშენებლობისათვის საჭირო პროექტირება-მშენებლობის და აღჭურვის სამუშაოები.

- მიმდინარეობდა:
  - ✓ ქალაქ რუსთავში მცირე ზომის ახალი პენიტენციური დაწესებულების პროექტირების/მშენებლობის და აღჭურვის სამუშაოები;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ახალი სამზარეულოს შენობის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ ერთი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
  - ✓ პენიტენციური დაწესებულების საჭიროებისათვის 2 ცალი ადამიანის სხეულის შესამოწმებელი რენტგენოსკანერების მონტაჟით და თანმდევი მომსახურებით შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი პენიტენციური დაწესებულების სარეჟიმო კორპუსში მსჯავრდებულთა საცხოვრებელი საკნების გათბობა-გაგრილების სისტემის მიწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი დაწესებულების საჭიროებისათვის სამზარეულო მოწყობილობების მოწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ სხვადასხვა დასახელების სპეციალური აღჭურვილობის შესყიდვა;
  - ✓ სხვადასხვა დასახელების რადიოსადგურების და აპარატურის მიწოდება-მონტაჟის შესყიდვა;
  - ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის სხვადასხვა დასახელების ავეჯის შესყიდვა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია.

მიღწეული შუალედური შედეგები

ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები..

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** – პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის მშენებლობის და აღჭურვის მაჩვენებელი

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – პენიტენციურ დაწესებულებებში განახლებულია ინფრასტრუქტურა და აღჭურვილია შესაბამისი საჭირო მანქანა-დანადგარებით. მიმდინარეობს 1 ახალი დაწესებულების მშენებლობა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – აშენდება და იფუნქციონირებს 1 ახალი დაწესებულება. არსებულ დაწესებულებებს ჩაუტარდება რემონტი-რეკონსტრუქცია და აღიჭურვება შესაბამისი მანქანა-დანადგარებით.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი – აშენებულია და ფუნქციონირებს 1 ახალი დაწესებულება. მიმდინარეობს 1 ახალი დაწესებულების მშენებლობა. არსებულ დაწესებულებებს ჩაუტარდა რემონტი-რეკონსტრუქცია და აღიჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებით.

2.20. დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია **(პროგრამული კოდი: 26 06)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწი-ნებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტე ბულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 06	დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	14,300.0	14,600.0	14,596.9	100.0%	3,109.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული ზედამხედველობა, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს/კონსულტაციებს, პროფესიული გადაწვის პრევენციისთვის მიმართულ ღონისძიებებსა და პროფესიული გაძლიერების მხარდაჭერას;

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სოციალური მუშაკების მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა 982 განრიდების ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, 602 წინასასამართლო ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, 1 272 პირობით მსჯავრდებულის შეფასება, 194 ანგარიში პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიისთვის წარსადგენად და 41 ანგარიში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის 4[1] პუნქტის თანახმად;

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დეპარტამენტის სარეაბილიტაციო მომსახურებით ისარგებლა 4 106-მა ბენეფიციარმა;

შედგა უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა ევროპის საბჭოს ოფისის პროექტის ფარგლებში „პოზიტიური მშობლობის“ პროგრამის დანერგვის შესახებ;

გაიმართა შეხვედრა ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე ბენეფიციარებისთვის სერვისების გაუმჯობესებისა და ინტეგრირების საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან;

გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ინიციატივით გაიმართა პროფესიული თემის და სახელმწიფო უწყებების სამუშაო შეხვედრა „რთული ქცევის“ ბავშვებთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, აკადემიური კვლევები, პროფესიონალთა მიერ გამოყენებული ინტერვენციები და სამომავლო პერსპექტივები;

გაიმართა სამუშაო შეხვედრები უწყებათაშორისი საზოგადოებრივი დაცვის მექანიზმის (MAPPA) განხილვის და პროექტის სამომავლო აქტივობების დაგეგმვის მიზნით;

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ბენეფიციარებისათვის იურიდიული მომსახურების მიწოდება;

სამომავლო თანამშრომლობის მიზნით დამუშავდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;

პროექტ „მოხალისე პედაგოგის“ ფარგლებში შედგა ინგლისური ენის შემსწავლელი ჯგუფი განრიდებული პირებისთვის;

პროექტ „მესტუმრეს“ ფარგლებში მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულების მიზნით გადამისამართდა 15 (თხუთმეტი) ბენეფიციარი;

წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება სააგენტოს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა ბენეფიციარებისთვის;

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შედგა სააგენტოს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა გოგონა ბენეფიციარების ვიზიტი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, სადაც ბენეფიციარებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას „ქალები წარსულიდან“; ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მსჯავრდებული ქალები იმყოფებოდნენ მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლზე „ქალები“;

სოციალურ საწარმოში „კოდალა“ განხორციელდა შემეცნებითი ვიზიტი ბენეფიციარებისთვის, სადაც მათ მიიღეს ინფორმაცია საწარმოში ხის სათამაშოებისა და სასუვენირო ნაკეთობების წარმოების თაობაზე და ჩაერთნენ პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელდა მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულ ქალთა დასაქმების პოლიტიკის სიტუაციის ანალიზის, არსებული გამოწვევებისა და გადაწყვეტის გზების შესახებ.

ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოში მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, პროფესიული ზედამხედველობის წესთან დაკავშირებით, გაიმართა უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრა; განხილულ იქნა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სტრატეგია, ლოგიკური ჩარჩოს შედგენა და შემდგომ ეფექტიანად განხორციელება.

არასრულწლოვანთა რეფერირების მიმართულებით შემოვიდა 197 საქმე, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ მომზადდა 131 არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში; არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ფსიქოლოგებს 66 ახალი შემთხვევა დაეწერათ. 88 არასრულწლოვნის საქმეზე გაფორმდა რეფერირების პროგრამაში ჩართვის ხელშეკრულება, 65 არასრულწლოვანთან გაგრძელდა ხელშეკრულების ვადა, 48 არასრულწლოვანთან დასრულდა მუშაობა; შეჩერდა 102 და აღდგა 42 არასრულწლოვნის საქმის წარმოება;

საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით განხორციელებულ 48 ღონისძიებასა თუ პროექტებში ჩაერთო 61-ზე მეტი არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარი.

პრობაციის 20 ოფიცერს ჩაუტარდა 4-დღიანი კურსი „ტრენერთა ტრენინგი“;

სააგენტოს 8 თანამშრომელმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი;

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით არსებულ 75 სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები;

განრიდებისა და მედიაციის მიმართულებით სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ მოემსახურა 1 083 პირს, რომელთაგან 471-ის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაციის კომპონენტი და შედგა მედიაციის 336 კონფერენცია. ამავე პერიოდში განრიდების პროცესი დაიწყო 167 პირის მიმართ.

აღნიშნულ სანგარიშო პერიოდში სააგენტოს ხელშეწყობით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით დასაქმდა 2 586 ბენეფიციარი. პრობაციის ბიუროში შედგა 899 ვიდეოპაემანი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირება, შეფასება და მათთვის საჭირო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა;
- სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამებში არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული ბენეფიციარების ჩართულობის ზრდა;
- არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ეფექტიანი აღსრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მიმდინარეობდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირება, შეფასება და მათთვის საჭირო სერვისების მიწოდება;
- განხორციელდა სარეაბილიტაციო და განრიდების პროგრამებში არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული ბენეფიციარების ჩართულობის ზრდა;
- მიმდინარეობდა არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ეფექტიანი აღსრულება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ინდიკატორის დასახელება – არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 150 არასრულწლოვანი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად 150 არასრულწლოვანი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 104 არასრულწლოვანი.

2. ინდიკატორის დასახელება – რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და განრიდების პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 18%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ზრდა ყოველწლიურად არანაკლებ 1%-ით;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი – 33%.

ცდომილების მაჩვენებელი – 3%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

სააგენტომ ბენეფიციართა საჭიროებების განსაზღვრით შეიმუშავა და დანერგა ახალი სარეაბილიტაციო პროგრამები, დამატებულ იქნა ახალი თანამშრომლები; ასევე, პრობაციის ბიუროების ახალ ოფისებში პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცის, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების ოთახის ფუნქციონირებამ განაპირობა ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა.

3. ინდიკატორის დასახელება – განმეორებით ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე შეწყვეტილი პრობაციის საქმეების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 11%

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 8%.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი – 8%.

<u>პრიორიტეტი 4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება</u>

4.19 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება **(პროგრამული კოდი: 26 04)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“ და სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება	3,400.0	3,902.8	4,216.5	108.0%	8,028.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“

სოციალური უნარების ტრენინგები – სოციალური მიმართულების ტრენინგების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 149 ტრენინგი, რომლებშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 2 670 წარმომადგენელი. ჩატარებული ტრენინგების შემთხვევაში, მონაწილეთა მიერ დაფიქსირდა 98%-ზე მეტი დადებითი შეფასება, მონაწილეთა 95%-მა გადალახა ტესტირების ბარიერი; 2024 წელს შეიქმნა და განახლდა 6 ტრენინგმოდული.

იურიდიული ტრენინგები – იურიდიული ტრენინგების სამსახურის მიერ განხორციელდა 275 სასწავლო აქტივობა (95 ტრენინგი, 2 საჯარო ლექცია, იმიტირებული პროცესი), რომლებშიც

ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 4 665 წარმომადგენელი; გარდა ამისა, შეიქმნა 84 მოკლე საინფორმაციო დოკუმენტი სამართლებრივ საკითხებზე.

პენიტენციური ტრენინგების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 56 ტრენინგი, რომლებშიც ჩართული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის 759 წარმომადგენელი; ფიზიკური ნორმატივების სახით განხორციელებულ 4 აქტივობაში ჩართული იყო 232 მონაწილე;

პროფესიული ტრენინგების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 277 ტრენინგი, რომლებშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 3 547 წარმომადგენელი;

პროექტების მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2 პროექტი (სამართლებრივი აქტის შექმნა ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე) და ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი 2024 (180 მონაწილე), მიმდინარეობდა 1 პროექტი.

ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის სერვისით ისარგებლეს როგორც იუსტიციის სამინისტრომ, ისე მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა უწყებებმა და კერძო თუ საჯარო დაწესებულებებმა. საერთო ჯამში, ტესტირება გაიარა 6 679-მა პირმა;

ტესტის შექმნის დეპარტამენტმა შეასრულა 74 აქტივობა, რისთვისაც შემუშავდა 1 482 ტესტური დავალება, შემოწმდა და განახლდა 1 667 ტესტური დავალება, შეიქმნა 9 წერითი დავალება და შეფასდა აღნიშნული დავალებების მიხედვით შესრულებული 24 ნაშრომი; შეფასდა ქართული ენის მართლწერის გამოცდაზე შესრულებული 202 ნაშრომი; 2 ფიზიკური პირისთვის ჩატარდა ქართული ენის ცოდნის დონის შესაფასებელი გამოცდა და გაიცა სერტიფიკატი; ტესტური დავალებების შექმნასა და შემოწმებაზე, ასევე, აპლიკანტთა წერითი ნაშრომების შეფასებაზე იმუშავა შესაბამისი სფეროს 32-მა ექსპერტმა;

ყვარლის სასწავლო ცენტრში განხორციელდა 79 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობდა 1 776 პირი;

სააკაძის სასწავლო ბაზაზე განხორციელდა 35 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობდა 1 280 პირი;

სასწავლო ცენტრის თბილისის შენობის, ყვარლის სასწავლო ცენტრისა და სააკაძის სასწავლო ბაზის შენობებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

- დასრულდა ყვარლის სასწავლო ცენტრის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც არსებულ სივრცეებს დაემატა სავარჯიშო დარბაზი, გასართობი სივრცე, საგამოფენო დარბაზი, გარე სპორტული მოედანი და ამფითეატრი;
- თბილისის სასწავლო ცენტრში არსებულ შენობას დაემატა 1 სართული და ჩატარდა მისი სრული სარემონტო სამუშაოები;

- სააკაძის სასწავლო ბაზაზე აშენდა 2 ახალი შენობა, ერთ მათგანში განთავსებულია სამზარეულო, ხოლო მეორე ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი ტერიტორიაა.

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“

მსჯავრდებულთა დასაქმების მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- №5 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ სათბურში სარვამარტოდ ქალი მსჯავრდებულების მიერ მოყვანილ იქნა მარწყვი და ყვავილები, რომლებიც დაურიგდა სხვადასხვა ორგანიზაციას. პროექტში დასაქმდა 5 მსჯავრდებული;
- გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო პროექტის ფარგლებში, დასაქმდა 6 მსჯავრდებული;
- მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების მაღაზია „რე-მარკეტი“ – პროექტი დაფინანსებულია INL-ის მიერ. საქართველოს მასშტაბით, ჯამში, ჩართული იყო 180 მსჯავრდებული. მაღაზიაში კონსულტანტის პოზიციაზე დასაქმდა 1 პრობაციონერი;
- №16 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე, ხის სათამაშოების საწარმო „კოდალას“ მიერ მოწყობილ მცირე საწარმოში, დასაქმდა 3 მსჯავრდებული;
- №15 და №10 პენიტენციურ დაწესებულებებში გაშენდა მარწყვის ბაღი ღია გრუნტზე, დასაქმდა 10 მსჯავრდებული;
- ქსნის №10 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ლოკოკინების ფერმაში დასაქმდა 6 მსჯავრდებული;
- №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში გაშენდა ჟოლოს ბაღი, დასაქმდა 10 მსჯავრდებული.

მაღაზია „რე-მარკეტის“ და მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციაში მოეწყო 23 გამოფენა-გაყიდვა;

„წარმატების სკოლის“ ხელშეწყობით განხორციელდა „წარმატების მენტორინგის სესიები“, რომლებიც ჩატარდა №16 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში. ჯამში, შეხვედრებს დაესწრო 28 მსჯავრდებული.

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოსთან“ თანამშრომლობით შეიქმნა ინოვაციურ პროექტ „რე-ბოქსის“ საჩვენებელი ვერსია, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთათვის შესაბამის მომზადების/გადამზადებისა და დასაქმების კურსებზე რეგისტრაციაზე ხელმისაწვდომობას, ბიბლიოთეკების შევსების/განახლების პროცესში მონაწილეობის მიღებას და ახალი ინიციატივების შეთავაზებას;

მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო პროგრამა „KOHA“-ში არსებული ლიტერატურის ელექტრონული მონაცემების შეყვანა;

მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსებსა და სხვა სასწავლო აქტივობებში მონაწილეობდა 593 მსჯავრდებული, ხოლო დასაქმების პროექტებში – 221 მსჯავრდებული;

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში გადანაწილებული ლიტერატურის რაოდენობა: 2 480 ერთეული გაზეთი, 924 ერთეული ჟურნალი და 2 436 ერთეული წიგნი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარების გაძლიერება;
- იუსტიციის სამინიტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური კადრების შეფასებისა და შერჩევის უზრუნველყოფა;
- პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია პიროვნული და პროფესიული განვითარება პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმებისათვის მომზადების გზით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაიზარდა იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების გადამზადებულ თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა ოდენობა;
- გაიზარდა იუსტიციის სამინიტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური კადრების შეფასებისა და შერჩევის ოდენობა;
- დაინერგა ახალი სტანდარტები მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის მიმართულებით. გაუმჯობესდა მსჯავრდებულთათვის სწავლების, პროფესიული მომზადების/გადამზადების და დასაქმების შესაძლებლობები მათი პროექტებში ჩართვის გზით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ინდიკატორის დასახელება – ტრენინგებზე დასწრებულ მსმენელთა რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს ტრენინგს გაივლის 7 330 მსმენელი

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 2024 წელს ტრენინგს გაივლის 8 200 მსმენელი; 2025 წელს – 8 200 მსმენელი; 2026 წელს – 8 200 მსმენელი; 2027 წელს – 8 200 მსმენელი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 11 641 მსმენელი

ცდომილების მაჩვენებელი 2%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა 2024 წელს არსებულ სამივე შენობაში განახორციელა სამი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა მშენებლობის/რემონტის დროს მოსალოდნელი იყო ტრენინგების ჩატარების შეფერხებები, თუმცა, ცენტრმა, მიუხედავად სამშენებლო სარემონტო სამუშოებისა, ფორსმაჟორულ სიტუაციაში განაგრძო მუშაობა, რამაც გამოიწვია მოსალოდნელზე მაღალი მაჩვენებელი.

2. ინდიკატორის დასახელება – ტესტირების გზით გამოსაცდელთა რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს ტესტირებას გაივლის 6 000 აპლიკანტი

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 2024 წელს ტესტირებას გაივლის 7 000 აპლიკანტი; 2025 წელს – 7 000 აპლიკანტი; 2026 წელს – 7 000 აპლიკანტი; 2027 წელს – 7 000 აპლიკანტი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 6 679 აპლიკანტი

ცდომილების მაჩვენებელი 2%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტირებისთვის განკუთვნილ 1 სივრცეში ტექნიკური გაუმართაობის გამო საჭირო გახდა კომპიუტერების შეცვლა, რაც დაკავშირებული იყო ტექნიკურ სამუშაოებთან. შესაბამისად, რამდენიმე ჯგუფს უარი ეთქვა ტესტირების გავლაზე, რამაც გამოიწვია მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა.

3. ინდიკატორის დასახელება – პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წლის ბოლოსათვის მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებში ჩართულია 870 მსჯავრდებული.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებში 2024 წელს ჩართულია 1 120 მსჯავრდებული; 2025 წელს – 1 400 მსჯავრდებული; 2026 წელს – 1 720 მსჯავრდებული; 2027 წელს – 2 000 მსჯავრდებული.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 814 მსჯავრდებული

ცდომილების მაჩვენებელი 20 %; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება გამოწვეულია წინა წლებთან შედარებით დონორი ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსებების შემცირებით.

<u>პრიორიტეტი 6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა</u>

6.2 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება **(პროგრამული კოდი: 26 01)**

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	78,600.0	80,187.6	80,173.5	100%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ჩართული იყო ან/და წამყვანი როლი ჰქონდა შემდეგი დოკუმენტების შემუშავებაში:

- სამთავრობო პროგრამა „ძლიერი ევროპული მომავლისთვის“ და მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;
- „ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ განხორციელების 2023 წლის სამოქმედო გეგმის წლიური, 2024 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის სტატუსანგარიში და 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2023 და 2024 წლების შუალედური (პროგრეს), ასევე, წლიური მონიტორინგის ანგარიშები;
- ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია და მისი 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა;

- საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგია, 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა და 2024 წლის 6 თვის მონიტორინგის ანგარიში;
- სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის 2023 წლის და 2024 წლის კვარტლური და წლიური სტატუსანგარიშები, 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა;
- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) განვითარების სტრატეგია და მისი გახორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების პროგრესანგარიშები (საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის II კვარტლის პროგრეს და სტატუსანგარიშები; სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის მონიტორინგის ანგარიში; სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის შესრულების სტატუსანგარიში);
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2023 წლის ანგარიში, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის 6 თვის ანგარიში და ახალი 2025-2028 წლების სტრატეგია;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2023 წლის შესრულების ანგარიში;
- საქართველოს სახალხო დამცველის 2022 და 2023 წლების ანგარიშების თაობაზე პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალებების შესრულების ანგარიშები;
- ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმის (IRM) მიერ მომზადებული ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მიმოხილვა და სხვ.

დარგობრივი და შედარებით-სამართლებრივი კვლევების კუთხით, მათ შორის, მომზადდა კვლევები:

- „ფიზიკურ პირებს შორის სესხის ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შესახებ“;
- „სამართალშემოქმედებით პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ“;
- „ანალიზის სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა და თანამედროვე ტენდენციები“;
- „ევროპის ქვეყნების ელექტრონული ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოების შესახებ“;
- „ევროპის ქვეყნებში 14 წლამდე ასაკის დელიქვენტური ქცევის მქონე ბავშვთა მზრუნველობის ცენტრებში განთავსების პრაქტიკის შესახებ“;

- „სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება დისციპლინური წარმოებისას“;
- „ვეტინგის“ პროცედურასთან დაკავშირებით;
- „ძებნილი პირების ბაზებთან წვდომისთვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ“;
- „საპარლამენტო საარჩევნო სიებში სავალდებულო გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით“;
- „რელიგიური უმცირესობებისათვის დამატებითი უქმე დღეების დაწესებასთან დაკავშირებით“;
- „ტერორიზმში ან სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დანაშაულში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარე სამყაროსთან კონტაქტის საკითხზე“;
- „კარგი ქცევის საფუძველზე მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების მექანიზმთან დაკავშირებით“;
- „შიდა აზომვითი ნახაზის შესრულების მეთოდების შესახებ“;
- „უძრავი ქონების სექტორში საეჭვო გარიგების გამოვლენის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ“ და სხვ.

ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა არაერთი დოკუმენტი (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების 6 თვის და წლიური ანგარიშები). მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2025 წლის გეგმის მოსამზადებლად შესაბამისი ღონისძიებები;

დაიწყო პროექტი – ახალგაზრდული კლუბი „YOUYHTITIA“, რომლის მიზანია იურიდიული განათლებისა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა, სტუდენტების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესება, საჯარო სამსახურში ორიენტაციისა და თავის დამკვიდრებისთვის სათანადო ცოდნი მიღება, იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. კლუბის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით მომზადდა ბრენდული/საიმიჯო მასალა, ვიდეორგოლი და ფეისბუქგვერდი. ასევე, გაიმართა აღნიშნული ინოვაციური პლატფორმის პრეზენტაცია. შეხვედრები გაიმართა რეგიონის 6 (გორი, თელავი, სამცხე-ჯავახეთი, ზუგდიდი, ბათუმი და ქუთაისი) სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასში, ჯამში, 500-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. დასრულდა კლუბის წევრების შესარჩევი კონკურსი, რის შედეგადაც კლუბის წევრად შეირჩა 30 სტუდენტი, მათ შორის, სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტის 5 სტუდენტი.

აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ინიციატივების შემუშავებაზე და ამ კუთხით მომზადდა არაერთი სამართლებრივი მოსაზრება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში განსახორციელებელი შესაძლო ცვლილებების შესახებ;

დაიწყო სამუშაოები სამინისტროს სისტემის მასშტაბით ხელოვნური ინტელექტის მოდელის დანერგვის მიზნებისთვის;

სამკითხველო სივრცეში (ბიბლიოთეკა) განთავსდა 800-მდე წიგნი. ბიბლიოთეკაში არსებული მასალა დარგობრივი თანმიმდევრობით განთავსდა სამართლის, მენეჯმენტის, ანალიტიკის, ბიზნესის, ისტორიის, პროფესიული და პიროვნული განვითარების სფეროების მიხედვით. ამასთანავე, დასრულდა წიგნების ელექტრონული კატალოგის შექმნა და წიგნების პროგრამული აღრიცხვა „OpenBiblio"-ში, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სათაურის, საკვანძო სიტყვების, ავტორისა და გამომცემლობის მიხედვით მარტივად მოიძიოს სასურველი მასალა;

განხორციელდა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ყოველწლიური გეგმით განსაზღვრული და სხვა სახის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ასევე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული და „ელექტრონული მთავრობის" პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საკანონმდებლო აქტის პროექტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა ცალკეული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზა/შეფასება და არსებითი დახმარება გაეწია სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ცალკეული საკანონმდებლო აქტების, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტების შესწორების, მათი შინაარსის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდებისა და სამართლებრივი კონსულტაციების სახით.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში:

- ✓ 32 ინდივიდუალურ საჩივარზე გაიგზავნა მთავრობის პოზიცია საქმის დასაშვებობასა და არსებით მხარეზე;
- ✓ 23 ინდივიდუალურ საჩივარზე გაიგზავნა მთავრობის მოსაზრებები მომჩივანთა მიერ წარმოდგენილ საპასუხო პოზიციასთან დაკავშირებით;
- ✓ 1 ინდივიდუალურ საჩივარზე გაიგზავნა მთავრობის პოზიცია მესამე მხარის კომენტარებთან დაკავშირებით;
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატისთვის განსახილველად გადაცემულ 5 ინდივიდუალურ საჩივარზე გაიგზავნა მთავრობის პოზიცია;
- ✓ 1 ინდივიდუალურ საჩივარზე გაიგზავნა მთავრობის მიმართვა საქმის დიდი პალატისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე დავების წარმოების პარალელურად, გაიგზავნა მთავრობის პოზიცია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში (HRC) – 3 საქმეზე;

„საქართველო რუსეთის წინააღმდეგ IV" სახელმწიფოთაშორის დავაზე საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მორიგი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. სტრასბურგის სასამართლომ რუსეთს დააკისრა სრული პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავების, თავდასხმების, მკვლელობებისა და ამგვარი ფაქტებისადმი ოფიციალური შემწყნარებლობის პრაქტიკისათვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ე.წ. ბორდერიზაციის ფონზე მიმდინარეობს;

მომზადდა და საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა რამდენიმე კომპლექსური ანგარიში, მათ შორის: 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ – დასრულებული საქმეები (მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 2023 წელს 4 გადაწყვეტილების და 1 განჩინების აღსრულების თაობაზე); 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ – მიმდინარე საქმეები (მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 68 გადაწყვეტილებისა და 22 განჩინების აღსრულების მდგომარეობის თაობაზე); 2023 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ (მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 3 გადაწყვეტილების თაობაზე);

აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ჰააგის სასამართლო), ასევე, სამინისტრო კოორდინაციას უწევს სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობას ჰააგის სასამართლოსთან. ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები სასამართლოს მიერ მოწოდებული თხოვნების შესრულებისა და გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით;

საქართველოს პარლამენტს წარედგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების თაობაზე კომპლექსური ანგარიშები (ჯამში, 300 გვერდამდე);

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ საკომიტეტო ზედამხედველობა დაიხურა და სახელმწიფოს მიერ აღსრულებულად გამოცხადდა 18 საქმე;

მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოებისა და ღონისძიებების გატარება იუსტიციის სამინისტროს წარმოებაში არსებულ საარბიტრაჟო დავებთან დაკავშირებით;

ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტმა კომპეტენციის ფარგლებში ქმედება განახორციელა 598 მომართვასთან/წერილთან დაკავშირებით. აღნიშნული რაოდენობიდან ხელშეკრულებათა ექსპერტიზის მიმართულებით რეაგირება განხორციელდა 451 მომართვაზე/წერილზე (როგორც საერთაშორისო, ისე კერძო ხასიათის ხელშეკრულების პროექტები), ხოლო სასამართლო წარმომადგენლობისა და ადმინისტრაციული საჩივრების მიმართულებით – 1 ადმინისტრაციულ საჩივარზე, საერთო სასამართლოებიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან შემოსულ 102 მომართვაზე/წერილზე. ასევე, ზოგადად, 44 სხვადასხვა სახის კორესპონდენციაზე (შიდა მიმოწერა, მოლაპარაკებებში მონაწილეობის შესახებ მომართვები და სხვ.);

საქართველოს სასამართლოებში წარმომადგენლობის მიმართულებით 40 სასამართლო დავიდან საქართველოს საერთო სასამართლოებში დასრულდა 26 სასამართლო დავა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრდა სასამართლო

გადაწყვეტილება/განჩინება 9 საქმეზე. სამინისტროში შემოვიდა 1 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელსაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება. ასევე, 3 დავასთან დაკავშირებით განხორციელდა წარმომადგენლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;

ევროკავშირის სამართლის პოპულარიზაციის, ევროინტეგრაციის პროცესისადმი ინტერესის გაზრდისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ საკანონმდებლო დაახლოების პროცესთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის განხორციელდა ევროკავშირის სამართლის ყოველწლიური იმიტირებული სასამართლო პროცესი;

მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის კანონმდებლობიდან სამინისტროს კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხების/აქტების იდენტიფიკაციის მიზნით;

მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის სამართლის აქტების ტრანსპოზიციაზე თემატურად პასუხისმგებელ სხვადასხვა უწყებასთან, რომლებსაც გაეწიათ კონსულტაცია სამართლებრივი დაახლოების ელექტრონულ პლატფორმაზე შესაბამისი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით. ელექტრონულ პლატფორმაზე შესაბამისი უწყებების მიერ 168 აქტზე განხორციელდა მოთხოვნილი დოკუმენტების – განმარტებითი ბარათისა და შესაბამისობის ცხრილების ატვირთვა;

კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში შეფასდა ეროვნული ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისობა ევროკავშირის სამართალთან და მომზადდა სამართლებრივი დასკვნები;

მომზადდა ასოცირების შესახებ შეთანხმების 2024 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 6 თვისა და წლიური ანგარიშები;

მომზადდა მემორანდუმის პროექტები შემდეგ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში: ბოსნია და ჰერცეგოვინა, ლიეტუვა, კვიპროსი და იაპონია;

მომზადდა თემატური კვარტალური და წლიური ანგარიში საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2023 და 2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;

მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი;

შემუშავდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი;

მომზადდა საინფორმაციო დოკუმენტი და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ფიზიკური და იურიდიული პირების რეგულირების საკითხთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მეორე გაძლიერებული შეფასების ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების

ეფექტიანად შესრულების მიზნით; ამავე კომიტეტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით შემუშავდა ზედამხედველობის ორდონიანი სისტემა;

ევროკომისიისთვის მომზადა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023-2026 წლების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროგრესანგარიში;

მომზადდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის“ 2023 წლის და 2024 წლის ანგარიშები;

მომზადდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის“ 2023 წლის და 2024 წლის ანგარიშები;

მომზადდა ინფორმაცია და რეკომენდაციები „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით;

მომზადდა ნარკოვითარების 2022 წლის და 2023 წლების ანგარიშების factsheet-ის საბოლოო ვერსიები;

შემუშავდა ანტინარკოტიკული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოსა და ნარკოვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის სამოქმედო გეგმა;

განხორციელდა 111 ძებნილი პირის ექსტრადიცია. 105 ძებნილი გადაეცა უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანოებს საქართველოდან, ხოლო 6 ძებნილი ჩამოყვანილ იქნა საქართველოში;

განხორციელდა 9 მსჯავრდებული პირის გადმოყვანა საქართველოში სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, ხოლო 17 მსჯავრდებული პირი გადაყვანილ იქნა საქართველოდან მოქალაქეობის სახელმწიფოში სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება;

საქართველოს და საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე დავების წარმატებით დასრულება;

ინსტიტუციური განვითარება და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის კანონმდებლობას;

საქართველოს და საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე დავების უმრავლესობა დასრულდა წარმატებით;

შემუშავდა კონცეფციები/სტრატეგიები/სამოქმედო გეგმები და პოლიტიკის დოკუმენტის შესრულების ანგარიშები. ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა სამართლებრივი მოსაზრებები და რეკომენდაციები ნორმატიული აქტების პროექტებსა და წინადადებებზე. განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების ანალიზი და შესრულების ანგარიშგება. ჩატარდა დარგობრივი და შედარებით-სამართლებრივი კვლევები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **ინდიკატორის დასახელება –** სამართლებრივი დასკვნების რაოდენობა;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის სამართლის 10-ზე მეტ აქტთან დაახლოება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ევროკავშირის სამართლის 73 აქტთან დაახლოება (2024 წელი – 20 აქტთან დაახლოება; 2025 წელი – 13 აქტთან დაახლოება; 2026 წელი – 20 აქტთან დაახლოება; 2027 წელი – 20 აქტთან დაახლოება);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის 49 აქტს;

ცდომილების მაჩვენებელი (30-40%) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ევროკავშირის სამართლის აქტების ტრანსპოზიციაზე თემატურად პასუხისმგებელი უწყებების მიერ გასულ წლებში ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ტრანსპოზიციის მიზნით მოსამზადებელი ნორმატიული აქტების პროექტების წარმოუდგენლობამ გამოიწვია ვადაგადაცილებული და მიმდინარე პროექტების გაერთიანება 2024 წელს, რის გამოც მიზნობრივი მაჩვენებელი რაოდენობრივად გასცდა აღნიშნული წლისთვის განსაზღვრულ ოდენობას.

2. **ინდიკატორის დასახელება –** საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმატებით დასრულებული საქმეების რაოდენობა;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმეების 80% დასრულებულია იუსტიციის სამინისტროს /სახელმწიფოს სასარგებლო შედეგით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად წარმოებული საქმეების 80% დასრულებულია იუსტიციის სამინისტროს /სახელმწიფოს სასარგებლო შედეგით

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 26 სასამართლო დავიდან 23 დასრულდა სამინისტროს/სახელმწიფოს სასარგებლოდ (88.5%).

3. **ინდიკატორის დასახელება** – წარმატებით დასრულებული საერთაშორისო დავების რაოდენობა;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – საერთაშორისო სასამართლოებში დასრულებული საქმეების არანაკლებ 80%-ისა არის საქართველოსთვის წარმატებული;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად საერთაშორისო სასამართლოებში დასრულებული საქმეების არანაკლებ 80%-ისა არის საქართველოსთვის წარმატებული;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავების რაოდენობა შეადგენს 86.5%-ს.

4. **ინდიკატორის დასახელება** – ინსტიტუციური რეფორმები; შესაბამისი მიმართულებების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები; შესაბამისი საკანონმდებლო აქტები;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – ინსტიტუციური რეფორმების მიმდინარეობა; შესაბამისი მიმართულებების უწყებათაშორისი კოორდინაცია; შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება; შესაბამისი მიმართულებების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები; შესაბამისი საკანონმდებლო აქტები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 24 დარგობრივი და შედარებით-სამართლებრივი კვლევა; შემუშავდა 70-მდე კონცეფცია/სტრატეგია/სამოქმედო გეგმა

6.4 მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი: 26 08)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 08	მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა	30,000.0	28,680.0	28,570.7	99.6%	163,733.5

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სისტემური რეგისტრაციის ჩასატარებლად განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებზე (59 მუნიციპალიტეტი) შესაბამისი სამუშაოები დასრულებულია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანიაც;

საველე-საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი სამუშაოების ფარგლებში, აზომილია 688 325 მიწის ნაკვეთი (185 393 ჰა); მონაცემების საჯარო გამოქვეყნება, მონაცემების გადამოწმება და უფლებათა რეგისტრაცია თოთოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს საამზომველო სამუშაოების დასრულებისთანავე. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, სარეგისტრაციო წარმოება დასრულებულია (რეგისტრაცია, უარი, შეწყვეტა) 736 225 განცხადებაზე. აქედან საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 603 931 მიწის ნაკვეთზე (647 787 ჰა);

გრძელდებოდა თბილისის შერჩეულ არეალებში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტი, რომლის მიხედვითაც სისტემური რეგისტრაციების განხორციელების მიზნით შერჩეულია შემდეგი ლოკაციები: დიდგორი, ძველი ვეძისი, დიღომი, კვესეთი, ბეთანია, წყნეთი, ახალდაბა,

კიკეთი-საღორისი, კოჯორი, წავკისი, შინდისი, ტაბახმელა. თბილისის სისტემური რეგისტრაციის არეალებზე სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება დასრულებულია. თბილისის მერიასთან კოორდინაციით (საჭიროა ზონირების ფენების სერვისის მოწოდება) მიმდინარეობს აგეგმილი მიწის ნაკვეთების საჯაროდ გამოცხადების პროცესი. თბილისის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში, აიზომა 17 836 მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობით – 2 085 ჰა. თბილისის სისტემური რეგისტრაციის არეალებზე სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება დასრულებულია და მიმდინარეობს აგეგმილი მიწის ნაკვეთების საჯაროდ გამოცხადების პროცესი. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია საჯაროდ გამოცხადებისთვის საჭირო ზონირების ფენების შესახებ. მიმდინარეობს აღნიშნული ფენების პროგრამული არქიტექტურა და ინტეგრირება. თბილისის სისტემური რეგისტრაციის არეალებზე აგეგმილი მიწის ნაკვეთებიდან 15 976 მიწის ნაკვეთი დამუშავდა სამართლებრივად, მომზადდა შესაბამისი დასკვნები და მონაცემები გამოცხადდა საჯაროდ, დასრულდა სამუშაოები სიმაღლური ქსელის არსებული რეპერების აღდგენისა და დაკარგულის ნაცვლად ახალი რეპერების დამაგრების მიმართულებით.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია;
- ეროვნული სანავიგაციო მონაცემთა ბაზის შექმნა და ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) პლატფორმის ფორმირება, განახლება და სრულყოფა;
- ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის შექმნა და განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების მომზადება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, საინფორმაციო კამპანია, საველე და აზომვითი სამუშაოები, მონაცემების საჯარო გამოქვეყნება, მონაცემების გადამოწმება და სამართლებრივად დამუშავება და მიწის ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაცია;
- დაუმისამართებელი სოფლების დამისამართების პროექტი დასრულებულია;
- ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის შექმნისა და განახლების მიზნით ეტაპობრივად ხორციელდებოდა ახალი რეპერების დამზადება; განხორციელდა აეროგადაღება ქვეყნის ტერიტორიის 11 400 კვ.კმ-ზე და მომზადდა ორთოფოტოგეგმები; განხორციელდა „ლილო სასადილოს“ სანიველირე ხაზზე და ნატახტარი-ჟინვალი-თიანეთის სიმაღლური ქსელის დაკარგული რეპერების (გრუნტის, კედლის და კლდის) ნაცვლად ახალი რეპერების დამაგრების და არსებული რეპერების აღდგენის მომსახურება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **ინდიკატორის დასახელება** – ეროვნული სანავიგაციო მონაცემთა ბაზის გაუმჯობესებული ვერსია და ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) შეგროვებული მონაცემების ატვირთვა საერთაშორისო პლატფორმაზე ვერსიების მიხედვით

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – ეროვნული სანავიგაციო მონაცემთა ბაზის 3.0 ვერსია და ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) შეგროვებული ფოტომასალა საქართველოს 15 ქალაქსა და დაბაში საპილოტე ვერსიის ფარგლებში

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ეროვნული სანავიგაციო მონაცემთა ბაზის 5.0 ვერსია და ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) შექმნილი მონაცემების (საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში) საერთაშორისო პლატფორმაზე ატვირთვა 3.0 ვერსიის ფარგლებში

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – ეროვნული სანავიგაციო მონაცემთა ბაზის 3.0 ვერსია და ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული ხედის (ქუჩის ხედი) შეგროვებული ფოტომასალა საპილოტე ვერსიის ფარგლებში

ცდომილების მაჩვენებელი: კონკრეტული ვერსიების დროში გადავადება, განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

შეუსრულებლობა გამოწვეულია ბაზარზე არსებული შესაბამისი ტექნიკური პროფილის პროფესიონალი კადრების სიმცირით.

2. **ინდიკატორის დასახელება** – ადგილზე დამაგრებული სიმაღლური ქსელის წერტილების რაოდენობა და ორთოფოტოზე დატანილი ტერიტორიის ფართობი

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – სიმაღლური ქსელის წერტილები სრულად მოკვლეულია, დაახლოებით, 6 000 წერტილიდან ადგილზე დამაგრებული 304 წერტილი და სხვადასხვა წელს განხორციელებული აეროგადაღების მასალების შედეგად შექმნილი ორთოფოტოგეგმები.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 2024 წელს, დაახლოებით, 200 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილების ადგილზე დამაგრება ან/და დაზიანებულის აღდგენა, დაახლოებით, 200 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და, დაახლოებით, 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; 2025 წელს დამატებით 200 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილების ადგილზე დამაგრება, დაახლოებით, 200 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და 10 500 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; 2026 წელს დამატებით 200 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილების ადგილზე დამაგრება, დაახლოებით, 200 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და 9 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება; 2027 წელს დამატებით 200 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილების ადგილზე დამაგრება, დაახლოებით,

200 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და 10 000 კვ. კმ-ზე ორთოფოტოს განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – განხორციელდა, დაახლოებით, 146 ერთეული სიმაღლური ქსელის წერტილის ადგილზე დამაგრება ან/და დაზიანებულის აღდგენა, დაახლოებით, 200 ერთეული გეგმური ქსელის წერტილების საველე მოკვლევა და ქვეყნის ტერიტორიის ,დაახლოებით, 11 400 კვ. კმ-ზე აეროგადაღება და მომზადდა შესაბამისი ორთოფოტოგეგმები.

ცდომილების მაჩვენებელი 10-20%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

რუსთავის მუნიციპალიტეტმა 2024 წელს ვერ წარმოადგინა პერსპექტიული განვითარების გეგმის ბოლო ვერსია, რის გამოც ამ ტერიტორიაზე ვერ განხორციელდა იმ რაოდენობის სიმაღლური ქსელის წერტილის ადგილზე დამაგრება, რაც იყო დაგეგმილი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მიზნობრივი მაჩვენებლის შეუსრულებლობა.

3. **ინდიკატორის დასახელება** – რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – დაახლოებით, 500 000 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით, 500 000 მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – დარეგისტრირდა 603 931 მიწის ნაკვეთი.

ცდომილების მაჩვენებელი – 10%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

სააგენტოს მიერ სისტემური რეგისტრაციების პროექტის ფარგლებში, საამზომველო საქმიანობაში განხორციელებულმა პიარაქტივობებმა უზრუნველყო მოქალაქეების მეტი ჩართულობა რეფორმაში და, შესაბამისად, დარეგისტრირდა დაგეგმილზე მეტი მიწის ნაკვეთი.

6.12 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა **(პროგრამული კოდი: 26 03)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	8 400.0	8 400.0	8 420.1	100.2%	6 484.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საარქივო მომსახურება შეუფერხებლად მიეწოდებოდა მოქალაქეებს, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციას, მათ შორის:

- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხის სახით გაიგზავნა 568 831 (559 336 – სისტემური რეგისტრაცია, 9 495 – სპორადული რეგისტრაცია) წერილი;
- მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე დარეგისტრირდა და მომზადდა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის 19 867 საარქივო ცნობა;
- უნიკალური საარქივო მასალების გაცნობის მიზნით მკვლევართა დარბაზში 2 393-მა მკვლევარმა იმუშავა (მათ შორის, 122 – უცხო ქვეყნის მოქალაქე), მათზე გაიცა 45 108 შესანახი ერთეული.

ეროვნული არქივის საქმიანობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა:

- 114 სატელევიზიო სიუჟეტი;

- 160 ინტერნეტსტატია;
- 18 საგაზეთო პუბლიკაცია;
- 16 რადიოგადაცემა.

საკონსერვაციო-პროფილაქტიკური დამუშავება ჩაუტარდა:

- 110 ერთეულ ფონოდოკუმენტს;
- 797 ერთეულ კინოდოკუმენტს;
- 140 ერთეულ ფოტოდოკუმენტს.

ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების ფიზიკური დაცვის მიმართულებით შესრულდა:

- რესტავრაცია – 26 356 ფურცელი;
- ყდაში ჩასმა-ჩაკერება – 719 საქმე;
- საქმეთა შეკერვა – 13 851 საქმე.

განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გადათვალიერების შედეგად შეირჩა:

- ქაღალდისფუძიანი დოკუმენტები – 551 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტები – 190 შესანახი ერთეული;
- ფონოდოკუმენტები – 667 შესანახი ერთეული.

დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება:

- ქაღალდისფუძიანი დოკუმენტები – 143 325 შესანახი ერთეული;
- კინოდოკუმენტები – 3 262 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტები – 500 შესანახი ერთეული;
- ფონოდოკუმენტები – 2 000 შესანახი ერთეული.

საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების მიზნით აღიწერა ჩანაწერები:

- მმართველობითი დოკუმენტაცია – 16 797 შესანახი ერთეული;
- პირადი წარმოშობის დოკუმენტები – 431 შესანახი ერთეული;
- სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია – 1 972 შესანახი ერთეული;
- კინოდოკუმენტები – 40 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტები – 2 080 შესანახი ერთეული;
- ფონოკუმენტები – 598 შესანახი ერთეული.

ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების/დაკომპლექტების მიზნით ეროვნულმა არქივმა მიიღო:

- მმართველობითი დოკუმენტაცია – 31 256 შესანახი ერთეული;
- სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია – 12 335 შესანახი ერთეული;

- კინოდოკუმენტები – 161 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტები – 2 080 შესანახი ერთეული;
- ფონოდოკუმენტები – 573 შესანახი ერთეული;
- პირადი შემადგენლობის დოკუმენტები – 12 511 შესანახი ერთეული;
- პირადი წარმოშობის დოკუმენტების მოქალაქეებისაგან მიღება – 977 შესანახი ერთეული.

დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება (ანაწერების გადამუშავების აქტში შესული შესანახი ერთეულების რაოდენობა):

- მმართველობითი დოკუმენტაცია – 25 017 შესანახი ერთეული;
- კინოდოკუმენტები – 797 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტები – 1 967 შესანახი ერთეული;
- ფონოდოკუმენტები – 394 შესანახი ერთეული;
- პირადი შემადგენლობის დოკუმენტები – 2 011 შესანახი ერთეული.

დოკუმენტების კატალოგიზაციის მიმართულებით:

- მმართველობითი დოკუმენტაციისა და პირადი წარმოშობის დოკუმენტები – 580 ბარათი;
- კინოდოკუმენტები – 400 ბარათი;
- ფოტოდოკუმენტები – 2 000 ბარათი;
- ფონოდოკუმენტები – 649 ბარათი.

ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცების (შეთანხმება) მიმართულებით:

- მმართველობითი დოკუმენტაცია – 39 461 შესანახი ერთეული;
- სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია – 14 750 შესანახი ერთეული;
- პირადი შემადგენლობის დოკუმენტები – 19 724 შესანახი ერთეული.

არქივებში დაცული დოკუმენტების ექსპერტიზის ფარგლებში დათვალიერდა 36 043 შესანახი ერთეული, საიდანაც გასანადგურებლად გამოიყო:

- მმართველობითი დოკუმენტაცია – 37 შესანახი ერთეული;
- კინოდოკუმენტი – 127 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტები – 30 შესანახი ერთეული;
- პირადი შემადგენლობის დოკუმენტები – 18 520 შესანახი ერთეული.

ეროვნულ საარქივო ფონდს შეემატა 100 ზე მეტი სხვადასხვა წყარო-დაწესებულების დოკუმენტები; ფოტოგანყოფილება დაკომპლექტდა 2 080 შესანახი ერთეული ფოტოდოკუმენტით; კინოგანყოფილება შეივსო 161 შესანახი ერთეული კინოდოკუმენტით; ფონოგანყოფილებამ დაცვაზე მიიღო 573 შესანახი ერთეული, სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო საჩუქრად გადმოცემული 69 ერთეული მედიამასალით;

მიმდინარეობდა მონაცემების შეყვანა სამ კატალოგში: „ერეკლე მეორე“, „ხელნაწერები“, კინოკატალოგი;

ეროვნულმა არქივმა ქართული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის, XII საუკუნის ქურაშის ოთხთავის, რესტავრაცია დაასრულა და ხელნაწერი ეცერის თემს დაუბრუნა;

დასრულდა მუშაობა მკვლევართა მომსახურების ახალ პროგრამაზე;

ელექტრონული არქივის შექმნის მიზნით, USAID-ის მხარდაჭერით, გაიმართა კონსულტაციები 2 ექსპერტთან;

შემუშავდა დაკომპლექტების წყარო-ორგანიზაციათა „ელექტრონული პასპორტების“ პროგრამა;

გრძელდება ელ. ნომენკლატურებზე მუშაობა;

ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გაიმართა გამოფენები: „ხელოვანი იუსტიციელები“, „სოხუმი“ და საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოფენა, „დოდო აბაშიძე –100“;

საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულება:

- ჩატარდა მეცხრე სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“;
- ჩატარდა სკოლის მოსწავლეთა მეცხრე საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“;
- გაიმართა წიგნის „ბერძნები საქართველოში“ პრეზენტაცია;
- რეჟისორ თენგიზ აბულაძის 100 წლის იუბილე მისი ფილმების კვირეულით აღინიშნა;
- გაიმართა რეჟისორ ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა;
- აკაკი ჩხენკელის დაბადებიდან 150 წლის საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნულ არქივსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, არქივის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი გახდა აკაკი ჩხენკელთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები;
- ეროვნულ არქივსა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დაცული კინოდოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეიქმნა ონლაინ კატალოგი;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ეროვნულ არქივში გაიმართა ანიმაციური ფილმების ორდღიანი ჩვენება;
- საფრანგეთში, ლევილში, 1924 წლის სახალხო აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ეროვნულ არქივში დაცული მასალის გამოფენა მოეწყო და ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელი მონაწილეობდა;
- გაიმართა რეჟისორ ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა.

ქართველი და გერმანელი მეცნიერების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ეროვნულ არქივსა და მაქს ვებერის ფონდის საქართველოს ოფისს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი;

ჩეხეთის კინოარქივთან თანამშრომლობით ჩატარდა ჩეხური ფილმების ჩვენება („აღმოაჩინე ჩეხური კინომემკვიდრეობა“);

ჩატარდა თბილისის საარქივო ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი;

საქართველოს ეროვნული არქივის მიერ დამუშავდა 98 სხვადასხვა ორგანიზაციის დოკუმენტები სამეცნიერო-ტექნიკური კუთხით;

გრძელდება მუშაობა 5 სამეცნიერო კვლევით თემასა (ხელნაწერთა ანალიტიკური კატალოგი, V ტომი; II მსოფლიო ომი; ბერძნების მიგრაცია საქართველოში; თბილისის კულტურული დაწესებულებების არქიტექტურა; ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში 1921-1924 წწ.) და გამოცემებზე;

დოკუმენტების ელექტრონულად შენახვისა და გამოყენების მიზნით გაციფრულდა:

- წერილობითი დოკუმენტი – 2 786 393 ფაილი;
- კინოდოკუმენტი – 129 შესანახი ერთეული;
- ფოტოდოკუმენტი – 7 375 შესანახი ერთეული;
- ფონოდოკუმენტი – 465 შესანახი ერთეული.

ეროვნული არქივის 368-მა თანამშრომელმა გაიარა სხვადასხვა ტრენინგკურსი.

მიმდინარეობდა შიდა ქართლის (გორი) რეგიონული არქივის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები;

შემუშავდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივის ახალი შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

სამეგრელოს, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივის შენობების საცავებში განხორციელდა განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

დაკორექტირდა ახალი კინოსაცავის პროექტი;

განხორციელდა სამეგრელოს რეგიონული არქივის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

განხორციელდა დუშეთის რეგიონული არქივის შენობის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები;

დასრულდა სამკითხველო (მკვლევართა) დარბაზში იატაკის საფარის შეცვლის სამუშაოები;

დასრულდა ეროვნული არქივის ადმინისტრაციულ შენობაში მცირე სარემონტო სამუშაოები;

განხორციელდა მესტიის ადგილობრივი არქივის შენობის მცირე სარემონტო სამუშაოები და გათბობის სისტემის მონტაჟი;

ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობის ფასადის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით დამუშავდა ტექპირობა და გამოცხადდა ტენდერი;

განახლდა ქალაქ ხაშურში მდებარე არქივის შენობის წყალარინების ქსელი და მომზადდა ქალაქის ცენტრალურ ქსელთან დასაერთებლად (ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის ქსელის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები);

დაიწყო საისტორიო, უახლესი და კინო-ფოტო-ფონოარქივის საცავებში დამონტაჟებული ავტომატური ხანძარქრობის სისტემის სრული დეტალური შემოწმება/ტესტირება.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დიგიტალიზებული და ელექტრონული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მაღალი დონე;
- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაშვებულია ერთი განახლებული ელექტრონული სერვისი, დიგიტალიზებული დოკუმენტების არქივის შექმნის მიზნით გაციფრულდა 2 786 393 დოკუმენტი;
- მიმდინარეობდა შიდა ქართლის (გორი) რეგიონული არქივის ახალი შენობის ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. ინდიკატორის დასახელება – გაშვებული/განახლებული სერვისების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი – დამატებით ორი ელექტრონული სერვისი

მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად დამატებით ორი ელექტრონული სერვისი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – გაეშვა ერთი ელექტრონული სერვისი.

2. ინდიკატორის დასახელება – ელექტრონულად ხელმისაწვდომი დოკუმენტების რაოდენობა;

საბაზისო მაჩვენებელი – 800-900 ათასი გვერდი;

მიზნობრივი მაჩვენებელი – 800-900 ათასი გვერდი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 2 786.4 ათასი გვერდი.

ცდომილების მაჩვენებელი 4-5 %; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში, შესასრულებელი საქმის მოცულობის ზრდის გამო მოხდა მეტი თანამშრომლის მიმართვა სკანირებაზე, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო, რამაც გამოიწვია გეგმაზე გაცილებით მეტი გვერდის დასკანირება.

3. ინდიკატორის დასახელება – ცენტრალიზებული, აშენებული და სრულად აღჭურვილი არქივების რაოდენობა;

საბაზისო მაჩვენებელი -– 2023 წელს შიდა ქართლის რეგიონული არქივის მშენებლობა (კონსტრუქციული ნაწილი); .

მიზნობრივი მაჩვენებელი – 2024-2025 წლებში შიდა ქართლის ახალაშენებულ რეგიონულ არქივში ცენტრალიზაციას დაექვემდებარება 2 არქივი (კასპი, ხაშური).

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 2024 წელს ვერ მოხდა კასპის და ხაშურის არქივების ცენტრალიზაცია

ცდომილების მაჩვენებელი 2-3 თვე; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

კასპის და ხაშურის არქივების ცენტრალიზაცია უნდა მომხდარიყო შიდა ქართლის (გორის) რეგიონული არქივის შენობაში, რადგან გორის არქივის შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება გადავადდა, ვერ შესრულდა მიზნობრივი მაჩვენებელი.

6.14 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი: 26 07)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „იუსტიციის სახლი“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**წლიური საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 07	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	5,000.0	5,000.0	5,254.5	105.1%	93,945.9

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ „იუსტიციის სახლი“ ფილიალების მეშვეობით მოემსახურა 5 555 385 მომხმარებელს;

კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით („Facebook“ გვერდი, სატელეფონო ცენტრი, კანცელარიის პროგრამა, მომხმარებლის ხმა, ელექტრონული ფოსტა) შემოვიდა 14 750 მომხმარებლის უკუკავშირი, რომელსაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება;

საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებში ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით იუსტიციის სახლმა წარმატებით განახორციელა საქმიანობის შეფასების განმეორებითი ციკლი ხარისხის მართვის საერთაშორისო მოდელის – შეფასების ერთიანი სისტემის (Common Assessment Framework – CAF) გამოყენებით;

შეფასების ერთიანი სისტემის ეფექტიანი მომხმარებლის სტატუსის მოპოვების მიზნით იუსტიციის სახლმა ნოემბერში მოიწვია CAF ექსპერტები, რომელთაც შეაფასეს ჩარჩოს დანერგვის პროცესში ორგანიზაციის შესრულებული სამუშაო. იუსტიციის სახლმა მიიღო შეფასების ერთიანი სისტემის ეფექტიანი მომხმარებლის სტატუსი (CAF);

სსიპ „იუსტიციის სახლის“ იმიჯის შესწავლის, მომხმარებელთა დამოკიდებულებების განსაზღვრის, კმაყოფილებისა და უკმაყოფილების მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით

ჩატარებული მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ფარგლებში (4 000-ზე მეტი იმ მომხმარებლის გამოკითხვა მოხდა, რომელთაც უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში მიიღეს მომსახურება) გამოკითხული მომხმარებლების რაოდენობა, რომელთა დადებითმა გამოცდილებამ შეადგინა 91%.

ვანის, საჩხერის, ლანჩხუთის, წნორისა და ამბროლაურის ფილიალებში დაინერგა რიგის მართვის ელექტრონული სისტემა „Qmatic orchestra 7“;

რუსთავის, გორისა და თბილისის ფილიალებში „QMATIC“-ის (რიგის მართვის ელექტრონული სისტემა) დაზიანებული ფიზიკური მოწყობილობების ჩანაცვლების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები და შეიცვალა უვარგისი კომპონენტები;

გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით, სსიპ „იუსტიციის სახლმა“ შეიმუშავა ბიზნესის ანალიტიკური სისტემა (BI), რომელიც თავის თავში სსიპ „იუსტიციის სახლის“ 10 ყველაზე მსხვილი პარტნიორის 24 ელექტრონულ პროგრამას აერთიანებს. შედეგად, შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების განსხვავებული ფორმით და შინაარსით უმოკლეს დროში დამუშავება სისტემაში პარტნიორი ორგანიზაციებისა და ელექტრონული პროგრამების შემდგომი ინტეგრაციის მიზნით;

იუსტიციის სახლში წარმატებით მოქმედებს მომხმარებლის უკუკავშირის განსხვავებული პლატფორმები (რიგის მართვის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრირებული უკუკავშირი, მომხმარებლის ხმის დაფა, სატელეფონო ცენტრი და ა.შ.). იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის განვითარებისა და შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორედ მომხმარებლის უკუკავშირია, მიმდინარე წელს გაიზარდა უკუკავშირის არხების რაოდენობა:

- სატელეფონო მომსახურების შემდგომ ავტომატურად გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS);
- იუსტიციის სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე ინტეგრირებული უკუკავშირის მოდული, რომელიც 24 საათის განმავლობაშია ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის.

პროცესების სტანდარტიზაციის, მათი გამარტივებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ჩართულობით, განხორციელდა სსიპ „იუსტიციის სახლის“ ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება და განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პროცესებზე შეიქმნა სტანდარტული საოპერაციო პროცედურის დოკუმენტები (SOP), რომელიც დეტალურად აღწერს უშუალოდ პროცესს, პასუხისმგებელი პირების როლებს და სამოქმედო გეგმას. დოკუმენტები განთავსებულია შიდა საინფორმაციო ვებგვერდზე, საიდანაც ხელმისაწვდომია ორგანიზაციაში დასაქმებული ნებისმიერი უფლებამოსილი პირისთვის;

იუსტიციის სახლმა უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნის 31 დელეგაციას. ცნობადობის გაზრდის და იმიჯის გამყარების მიზნით დელეგაციებისთვის ჩატარდა ტურები იუსტიციის სახლის

მომსახურების სივრცეში, რა დროსაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ იუსტიციის სახლის კონცეფციასა და დანერგილ ინოვაციებს;

დასრულდა იუსტიციის სახლის განახლებული ვებგვერდის დიზაინსა და დეველოპმენტზე მუშაობა. ვებგვერდის სატესტო ვერსია გაეშვა და მიმდინარეობს შემოწმება;

სამტრედიის, ბათუმის №2, ხაშურის, თერჯოლის, შროშის, რუსთავის სახლის ფილიალები აღიჭურვა მარკეტინგული ატრიბუტიკით და გაიხსნა.

იუსტიციის სახლისა და UNDP-ის საერთო პროექტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შემუშავდა 10 საინფორმაციო ვიდეორგოლი ყველაზე მოთხოვნადი სერვისების შესახებ;

იუსტიციის სახლის სერვისების ცნობადობის გაზრდის მიზნით შემუშავდა 13 ვიდეორგოლი;

თბილისის იუსტიციის სახლში ქართული სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი გაიხსნა. სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი დამთვალიერებელს ქართული სამართლის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიას აცნობს; ამასთანავე, ექსპოზიცია ჰოლოგრამული, ციფრული ფორმატის გამოსახულებებით არის წარმოდგენილი;

ქართული სამართლის მუზეუმის სივრცეში განთავსებული ტექნიკის ფუნქციონირებისთვის შესყიდულ იქნა შესაბამისი პროგრამების მართვის მუდმივი ლიცენზიები;

იუსტიციის სახლებში დაინერგა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სერვისი – ვიდეოპაემნით სარგებლობის სერვისი. სერვისზე განცხადების ჩაბარება შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში; იუსტიციის სახლის ბათუმის, რუსთავის, ქუთაისისა და თბილისის ცენტრალურ ფილიალებში კი მოეწყო სივრცეები ვიდეოპაემნის განხორციელების/ჩატარების უზრუნველსაყოფად;

თბილისის ცენტრალურ ფილიალში მოეწყო თვითმომსახურების სივრცე, სადაც განთავსდა თვითმომსახურების ტერმინალები. თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, ოპერატორის დახმარების გარეშე მიიღონ მათთვის სასურველი 20 სერვისიდან ერთ-ერთი, რაც უზრუნველყოფს მოლოდინის დროის შემცირებას და მომხმარებელთა ნაკადის ოპტიმიზაციას. ამ ეტაპზე ტერმინალში დაინტეგრირებულია პორტალზე my.gov.ge ხელმისაწვდომი ყველაზე მოთხოვნადი 20 სერვისი. უახლოეს პერიოდში დაემატება 10-მდე ახალი სერვისი.

დასრულდა თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში სამართლის ისტორიის ჰოლოგრამული მუზეუმის მოწყობის სამუშაოები ინფრასტრუქტურის ნაწილში;

თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში დასრულდა პერსონალური ასისტენტის სივრცის სარემონტო სამუშაოები; ოთახი აღიჭურვა საჭირო ავეჯით;

მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები 5 ფილიალში (სტრუქტურული ერთეულები);

დასრულდა თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის სახურავის №9 პეტალის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

მიმდინარეობდა ყველა იუსტიციის სახლის ტექნიკური მომსახურე კომპანიების მიერ ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა;

ქვეყნის მასშტაბით 34 ფილიალში (სტრუქტურული ერთეულები) დასრულდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის შიდა პერიმეტრზე დასრულდა თბური ფარდების მონტაჟი;

ზესტაფონის იუსტიციის სახლში დასრულდა ფარდა-როლეტების მონტაჟი;

გურჯაანის იუსტიციის სახლში დასრულდა ახალი, ცენტრალური უწყვეტი კვების წყაროს (UPS) მონტაჟი;

ფოთის იუსტიციის სახლში დასრულდა უწყვეტი კვების წყაროს (UPS) დაზიანებული აკუმულატორების ახლით ჩანაცვლება;

სსიპ „იუსტიციის სახლში“ დაინერგა ახალი სერვისი, რაც გულისხმობს უცხოელთა ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისის გაცემას იუსტიციის სახლებსა და მობილურ იუსტიციის სახლებში;

გაეშვა ახალი სერვისი – „ბიზნესასისტენტი“, რომელიც სპეციალურად ბიზნესსექტორის წარმომადგენელთათვის შექმნილი პროდუქტია და საქმიან წრეებს სახელმწიფო სერვისებზე უფრო სწრაფ და კომფორტულ წვდომას სთავაზობს. მომსახურება 5 განსხვავებულ სხვადასხვა საჭიროებაზე მორგებულ პაკეტს მოიცავს;

დასრულდა:

- თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სტრუქტურულ ერთეულებში ახალი გენერატორების მონტაჟი (9 ერთეული);
- თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის შენობის ნაწილში ფარდა-ჟალუზების მონტაჟი;
- გორის იუსტიციის სახლში ფასადის სანათების მოწყობის სამუშაოები;
- სენაკის იუსტიციის სახლის გარე პერიმეტრის დეკორატიული სანათების მოწყობის სამუშაოები;
- ბათუმის იუსტიციის სახლის შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოები;
- თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში ვენტილაციის ჰაერსატარი მილის მონტაჟის სამუშაოები;

- რუსთავის იუსტიციის სახლის ელ. ენერგიის ალტერნატიული კაბელის მოწყობის სამუშაოები;
- სსიპ „იუსტიციის სახლის“ საჭიროებისათვის კონდიციონერების, ფანკოილებისა და რეკუპერატორის მონტაჟი;
- თელავის და მარნეულის იუსტიციის სახლის საჭიროებისათვის კოლონური კონდიციონერების მონტაჟი;
- ბათუმის იუსტიციის სახლში დამონტაჟებული „TRANE“-ს ბრენდის ჩილერისათვის განკუთვნილი კომპრესორის, ელექტროგამაფართოებელი სარქველის (EXV) და პროგრამირებადი მოდულის მონტაჟი;
- რუსთავის იუსტიციის სახლის შენობის ფასადზე დაზიანებული მინა-პაკეტების ახლით შეცვლის სამუშაოები;
- სამტრედიისა და ხაშურის იუსტიციის სახლების საჭიროებისათვის ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა;
- საკანალიზაციო სეპტიკური ჭების მოწყობის სამუშაოები უსახელოს, ნატანებისა და ბარალეთის იუსტიციის სახლებში;
- გარდაბნის იუსტიციის სახლში არსებული ცენტრალური შესასვლელი კარის დემონტაჟი და ახალი კარების სამონტაჟო სამუშაოები;
- თბილისის ცენტრალური იუსტიციის სახლის D ბლოკის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები;
- ქარელის იუსტიციის სახლის ლიფტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამართლის მუზეუმის გაგრილების სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- თბილისის ცენტრალურ იუსტიციის სახლში საქვაბის სრული იზოლირებისა და საქვაბის სივრცის სამჯერადი ჰაერცვლის სისტემების მოწყობის სამუშაოები;
- გარდაბნის, კაზრეთის და იორმუღანლოს იუსტიციის სახლებში ცენტრალური გათბობის ქვაბების მონტაჟი;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები თერჯოლის იუსტიციის სახლში, ფილიალი აღიჭურვა ავეჯით და გაიხსნა საზეიმო ღონისძიებით;
- შროშის იუსტიციის სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ფილიალი აღიჭურვა ავეჯით და გაიხსნა საზეიმო ღონისძიებით;
- ზოტის იუსტიციის სახლის შენობის რკინა/ბეტონის სამუშაოები;
- ტოლების იუსტიციის სახლის შენობის შიდა და გარე კედლების ლესვა, ასევე, მიმდინარეობდა შენობის მინა-პაკეტებით აღჭურვა და კედლების თბოიზოლაცია.

დასრულდა ხელვაჩაურის გარე ფასადის ლესვის სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა შიდა ტიხრების და ფანჯრების მოწყობის სამუშაოები;

დასრულდა გლდანის იუსტიციის სახლის შიდა და გარე კედლების მოწყობა ბლოკით, ასევე, საძირკვლის კედლების ჰიდროიზოლაცია; მიმდინარეობდა შიდა კედელების შენებისა და ლესვის სამუშაოები;

დასრულდა ახმეტის იუსტიციის სახლში საძირკვლის ფილის მოწყობის სამუშაოები და ბალასტის შეტანა. მიმდინარეობდა კოლონების მოწყობის სამუშაოები;

საგარეჯოს იუსტიციის სახლში მიმდინარეობდა შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ასევე, საინჟინრო ქსელების და ეზოს მოწყობის სამუშაოები;

მცხეთისა და ჭალის იუსტიციის სახლებში მიმდინარეობდა მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები;

ცაიშის იუსტიციის სახლში მიმდინარეობდა შენობის შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ასევე, საინჟინრო ქსელების მოწყობის სამუშაოები და ეზოს მოპირკეთება-გამწვანება;

მიმდინარეობდა ხონის იუსტიციის სახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ჩატარდა 20 იუსტიციის სახლის სახურავის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ქვეყნის მასშტაბით 48 იუსტიციის სახლში შეკეთდა და აღდგა ეზო-ტერიტორიის ღობეები;

ხაშურისა და სამტრედიის იუსტიციის სახლებისათვის შეძენილ იქნა საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი

იუსტიციის სახლის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა

მიღწეული საბოლოო შედეგები

მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს 98%;

იუსტიციის სახლის სერვისები ხელმისაწვდომია იუსტიციის სახლის 118 ფილიალში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. **ინდიკატორის დასახელება** – მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს 88%

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად 86-88%

მიღწეული საბოლოოს შედეგის შეფასების ინდიკატორი – მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს 91%-ს

2. **ინდიკატორის დასახელება** – იუსტიციის სახლის სერვისებზე ხელმისაწვდომობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი იქნება იუსტიციის სახლის 118 ფილიალში.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – 2023 წელს, სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომი იქნება იუსტიციის სახლის 118 ფილიალში.

მიღწეული საბოლოოს შედეგის შეფასების ინდიკატორი – სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომია იუსტიციის სახლის 123 ფილიალში.

ცდომილების მაჩვენებელი (1 ფილიალი) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

2024 წელს სსიპ „იუსტიციის სახლის“ ფილიალების სამშენებლო პროცედურების გაჭიანურებისა და სხვადასხვა მიზეზით შეფერხებების გამო ვერ დასრულდა 9 ფილიალის მშენებლობა. აღნიშნული ფილიალების სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 2025 წელს.

6.16 ელექტრონული მმართველობის განვითარება **(პროგრამული კოდი: 26 05)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**წლიური საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	4,300.0	4,300.0	4,724.2	109.9%	27,090.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პორტალი My.gov.ge – დასრულდა მუშაობა და მზადაა რეალურ გარემოში გასაშვებად შემდეგი სერვისები და ფუნქციონალი:

- სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ სერვისებში ტექნიკური ცვლილებები;
- გაფართოებული ძიების ფუნქციონალი;
- გამარტივებული შევსება ქონების, ბიზნესის და განმეორებითი მოწმობების სერვისებში;
- განახლდა პორტალის „წესები და პირობები“;
- განხორციელდა მცირე ცვლილებები სხვადასხვა სერვისში;
- ავტორიზებული მომხმარებლებისთვის შემუშავდა განაცხადის გამარტივებული შევსების ფუნქციონალი ბიზნესის და ქონების სერვისებში;
- განახლდა და დაიხვეწა პორტალზე სერვისების ძიების ფუნქციონალი.

მიმდინარეობდა სისტემის ცალკეული კომპონენტების დეველოპმენტი. სატესტო რეჟიმშია ძებნა სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობების რეესტრში და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალი სერვისები;

მიმდინარეობდა მუშაობა სამეწარმეო რეესტრის ჩათიშული სერვისების აღდგენაზე და საჯარო რეესტრის დოკუმენტბრუნვის სისტემის სერვისების iFrame-ის ჩანაცვლების თაობაზე;

მიმდინარეობდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სერვისების დამატებაზე მუშაობა, ასევე, „ქართუ ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ გადახდების სისტემების ინტეგრაცია;

მიმდინარეობდა ანალიტიკა პორტალზე ახალი სერვისის დამატების შესახებ, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირები ელექტრონულად შეავსებენ განცხადებას საჯარო რეესტრის და კერძო აღმასრულებლის ავტორიზაციის უფლების მინიჭების თაობაზე;

უსაფრთხოების მიზნით პორტალზე მიმდინარეობდა 2-ფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დამატება, რაც სატესტო რეჟიმშია.

საანგარიშო პერიოდში:

- პორტალზე ინტეგრირებული სერვისების რაოდენობას დაემატა 6 ახალი სერვისი (სულ 400-მდე);
- სერვისების გამოყენების ჯამური მაჩვენებელი – 13 378 479 სერვისი;
- სტანდარტულად ინტეგრირებული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი – 1 411 233 სერვისი;
- ელექტრონული დოკუმენტის მიწოდების სერვისის გამოყენების მაჩვენებელი – 954 353 სერვისი;
- სხვა დანარჩენი სერვისების გამოყენების მაჩვენებელი – 4 166 165 სერვისი;
- პორტალზე რეგისტრირებულია – 81 746 იურიდიული და 18 593 ფიზიკური პირი.

My.gov.ge-ს მობილური აპლიკაციის – Google Play Store-ზე რელიზისთვის განახლდა და ინგლისურად ითარგმნა privacy policy-ს ტექსტი. ანდროიდ და iOS სისტემისთვის გაშვებულია აპლიკაციის 2.1.1. ვერსია, სადაც ხელმისაწვდომია ციფრული დოკუმენტები, გამარტივებული შევსება ბიზნესის და ქონების სერვისებში, მუშაობა დასრულებულია 2.1.2. ვერსიაზე.

მიმდინარეობდა ტესტირება 2.2.0 ვერსიის რელიზისთვის და მიმდინარეობდა მუშაობა ცვლილებებზე 2-ფაქტორიანი ავთენტიფიკაციის დანერგვისთვის;

მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა My.gov.ge-ზე ინტეგრირებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;

მიმდინარეობდა სისტემის კომპონენტების დეველოპმენტი, ძირითადი ფუნქციონალის ტესტირება, ხარვეზების გასწორება და ფუნქციონალის და UI/UX -ის გაუმჯობესება:

- ინფრასტრუქტურაში ჩაერთო 14 ახალი ორგანიზაცია (სულ, ჯამში, ინფრასტრუქტურაში ჩართულია 289 ორგანიზაცია);
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა – 176 მთავარი სერვისი (530 ქვესერვისი);

- ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობა – 255 036 273 ტრანზაქცია;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტების რაოდენობა – 995 869 დოკუმენტი.

მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ მნიშვნელოვან პროექტებზე:

- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის სისტემა (OIS);
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მართვის ავტომატური საშუალებების სისტემა;
- cis.gov.ge – სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემის სასამართლოსთან ინტეგრაცია (დოკუმენტების მიმოცვლის ელექტრონული სერვისი);
- სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემა (cis.gov.ge; e-enforcement.ge);
- სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის განახლება;
- სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
- ქართული ენის ელექტრონული სწავლების პლატფორმა (eacademy.tcj.gov.ge);
- ბილინგის მართვის და მონიტორინგის სისტემა;
- ელექტრონული მართვის სისტემა (EMS);
- იუსტიციის სახლის ვებგვერდი;
- იუსტიციის სახლის ელექტრონული სისტემა;
- პენიტენციური სამსახურის ჯავშნების სისტემა;
- BI სისტემის ინტეგრაცია;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საარქივო სამმართველოს, არქივის მართვის სისტემის შექმნა;
- საჯარო შესყიდვების ერთიანი ელ. სისტემა GE-GP (system);
- სახელმწიფო ენის პორტალი (ენის პალატა);
- პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მართვის ელექტრონული სისტემა – PDCEMS;
- კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგსა და შეფასების ელექტრონული სისტემა;
- უნივერსალური ადმინისტრირების პანელი;
- დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი (cpp.gov.ge);
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი (justice.gov.ge);
- სახალხო დამცველის აპარატის შიდა სოფტი (ქეის მენეჯმენტი);
- RE_BOX სისტემა;
- EMS – საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (დაახლოების მონაცემთა ბაზა – იუსტიციის სამინისტრო);
- სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ელ. სისტემის განახლებაზე;
- ციფრული მმართველობის სააგენტოს ვებგვერდი (dga.gov.ge);

- ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი acb.gov.ge;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებსაიტი;
- პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მართვის ელ. სისტემა - PDCEMS.

ამასთან, მიმდინარეობდა ზემოაღნიშნული პროექტების, სისტემებისა თუ ვებგვერდის ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;

IT და ინტერნეტმომსახურება გაეწია 171 ორგანიზაციას, ხოლო G3-ის ფარგლებში – 289 ორგანიზაციას;

კიბერინციდენტებზე რეაგირების, კიბერსისუსტეებისა და კიბერინციდენტების აღმოჩენის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები:

- კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფმა „CERT.DGA.GOV.GE"-მ რეაგირება მოახდინა საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირებულ 131 ინციდენტზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან საფრთხეების შესახებ მიღებული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან შეტყობინების თაობაზე;
- კიბერუსაფრთხოების აუდიტი სააგენტოში არსებულ რამდენიმე სერვერზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან საფრთხეების შესახებ მიღებული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან შეტყობინების თაობაზე;
- მომზადდა ღია წყაროების კვლევისა და პასიური სკანირების (OSINT) მეთოდოლოგია;
- კიბერუსაფრთხოების აუდიტისთვის მომზადდა CIS კონტროლების კითხვარი;
- სააგენტოს შიდა ინფრასტრუქტურაში არსებულ 2 სერვერზე აღმოჩენილ იქნა კრიტიკული დონის მოწყვლადობა, მომზადდა რეკომენდაციები და მიმდინარეობდა გამოსწორებითი სამუშაოები;
- მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფრასტრუქტურაში არსებული SIEM სისტემების დეტალური აღრიცხვა;
- მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან პოტენციურ საფრთხეთა შესახებ ინფორმაციის გაზიარების MISP-ის პლატფორმაზე დაინერგა ორმაგი ავთენტიფიკაციის მექანიზმი, რაც გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას გააუმჯობესებს;
- მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით გაზიარებული იქნა APT28 კამპანიის შეტევის ინდიკატორები.

მუდმივად ხორციელდებოდა კიბერინციდენტებზე რეაგირება და გავრცელებული ფიშინგის შემთხვევების დაბლოკვა ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან კომუნიკაციის გზით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და განვითარების მომსახურებების მიმღები ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა;

ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით;

კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე დროული და ეფექტური რეაგირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

გაიზარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და განვითარების მომსახურებების მიმღები ორგანიზაციების რაოდენობა;

კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე მოხდა დროული და ეფექტიანი რეაგირება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება –** მომსახურების მიმღებ ორგანიზაციათა რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს მომსახურება გაეწია 50 ორგანიზაციას

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად – 60-მდე

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – მომსახურება გაეწია 171 ორგანიზაციას.

ცდომილების მაჩვენებელი 3 ორგანიზაცია; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება გამოწვეულია 2024 წელს ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერ მართვის სისტემებთან დაკავშირებული ტრენინგებისა და სერტიფიცირების, ასევე კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგების გავლის მსურველთა რაოდენობის ზრდით. მითითებული ტრენინგების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიამ, ასევე, მონაწილეთა მიერ მიღებული ინფორმაციის გავრცელებამ სფეროს წარმომადგენლებს შორის მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოთხოვნის ზრდაზე.

2. **ინდიკატორის დასახელება –** My.Gov.Ge „ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე“ ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს ჯამში პორტალზე ინტეგრირებულია 195 სერვისი (726 ქვესერვისების ჩათვლით);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – პორტალზე ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა გაიზარდოს 2024 წელს – 197 სერვისი, 2025 წელს – 199 სერვისი, 2026 წელს – 201 სერვისი, 2027 წელს – 203 სერვისი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 2024 წელს, ჯამში, პორტალზე ინტეგრირებულია 169 სერვისი (ქვესერვისი – 347). წლის განმავლობაში ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალ My.gov.ge-ს დაემატა 6 ახალი სერვისი.

ცდომილების მაჩვენებელი 5%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

სერვისების რაოდენობის შემცირება გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით: ტექნიკური ხარვეზი (გაითიშა მუნიციპალური სერვისები, რომელიც შეადგენდა 300-ზე მეტ სერვისს), სერვისების ინტეგრაციის ფორმატი – სერვისები ხელმისაწვდომი იყო როგორც iframe ფორმატში, ისე სტანდარტულად ინტეგრირებული სახით. შესაბამისად, განხორციელდა iframe ფორმატის ჩანაცვლება (4 სერვისი).

3. ინდიკატორის დასახელება – მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს ჯამში მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულია 176 მთავარი სერვისი 530 ქვესერვისით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სულ ხელმისაწვდომი იყოს 2024 წელს – 178 მთავარი სერვისი, 2025 წელს – 180 მთავარი სერვისი, 2026 წელს – მთავარი 182, 2027 წელს – 184 მთავარი სერვისი თავისი ქვესერვისებით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 2024 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა – 176 მთავარი სერვისი (530 ქვესერვისი).

ცდომილების მაჩვენებელი 5%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა უცვლელია, რადგან ჩართულ ორგანიზაციებს სერვისების დამატების თაობაზე მოთხოვნა არ დაუფიქსირებიათ.

4. ინდიკატორის დასახელება – კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირებათა რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 1000

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად არანაკლებ 1000

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – 131

ცდომილების მაჩვენებელი 5%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ცდომილება განაპირობა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების სამ კატეგორიად დაყოფამ. სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ პასუხისმგებელია მხოლოდ მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებზე. შესაბამისად, ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული კომპიუტერული ინციდენტების რაოდენობა მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა.

6.15 მიწის ბაზრის განვითარება (WB) **(პროგრამული კოდი: 26 09)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 09	საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB)	4,685.0	4,531.0	4,339.4	95.8%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

მუშაობა დასრულდა IPRS-ის მიმართულების ხედვის და დაინტერესებული მხარეების მენეჯმენტის სტრატეგიის დოკუმენტებზე;

მიმდინარეობდა პროგრამის განახლებაზე მუშაობა შემდეგი მიმართულებების შესაბამისად: დამისამართება; შემდგომი რეგისტრაციები; სისტემური და სპორადული რეგისტრაცია; გეოდეზია-კადასტრი და საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები;

მუშაობა დასრულდა შემდეგი დოკუმენტების პროექტებზე:

- ეროვნულ გეოპორტალზე სივრცითი მონაცემების გამოქვეყნებისთვის პასუხისმგებელი შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტებისა და მათ მიერ უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსაქვეყნებელი მონაცემები;
- მეტამონაცემების ეროვნული პროფილი;
- მონაცემთა პროდუქტის სპეციფიკაციის ეროვნული პროფილი;
- ეროვნულ გეოპორტალზე გამოქვეყნებული სივრცითი მონაცემების რესურსებთან დაშვების (ლიცენზიის), მათი გამოყენებისა და გაზიარების პირობები და წესები;
- ტექნიკური ჩარჩო რეგლამენტი;

- მონაცემთა გაცვლისა და ერთობლივი გამოყენების მოდელის ეროვნული პროფილი;
- მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშის ეროვნული პროფილი;
- საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და დებულება;
- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, მართვის, ფუნქციონირებისა და განვითარების მიზნით ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის სტრატეგიისა და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმა;
- მონაცემთა მოდელის ტექნიკური სპეციფიკაცია;
- ქსელური სერვისების იმპლემენტაციის ტექნიკური სპეციფიკაცია.

მიმდინარეობდა სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ეროვნული გეოპორტალის არსებული ვერსიის bug-ების გასწორების (bug fixing) პროცესი;

მიმდინარეობდა შედეგი აქტივობები:

- INSPIRE მონაცემების ვალიდატორის გეოპორტალში ინტეგრაცია;
- გეოპორტალის ავტორიზაციის მოდულზე მუშაობა;
- ორგანიზაციის რეგისტრაციისა და მომხმარებლების ორგანიზაციაში გაწევრების ფუნქციონალზე მუშაობა;
- ფორმის ველების აღწერა და სხვ.

„გონიერი კონტრაქტის“ ელექტრონული სერვისის განვითარების ფარგლებში, პროექტის შესაბამისად დაკომპლექტდა ეჯაილ გუნდი. დაქვემდებარების ხელშეკრულების თანახმად, სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოსთან“ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ტექნიკური დახმარების ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების მიზნით (ხელშეკრულების პროექტი კომენტარებისთვის გადაეგზავნა მსოფლიო ბანკს);

- შეიქმნა და დაინერგა გონიერი კონტრაქტის პროგრამული უზრუნველყოფა (Smart Contract), რომლის მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან სრულად დისტანციურად შეუძლიათ უძრავ ქონებაზე გარიგების დადება, ნასყიდობის საფასურის გადახდა და უფლების რეგისტრაცია. გონიერი კონტრაქტის მეშვეობით ხელმისაწვდომია შემდეგი მომსახურებები: ნასყიდობის რეგისტრაცია; ნასყიდობისა და იპოთეკის რეგისტრაცია. გონიერი კონტრაქტის დახმარებით უძრავი ქონების შეძენა და საკუთრების უფლების რეგისტრაცია შეძლეს აშშ-ში, შვედეთსა და ისრაელში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემისა და ელექტრონული სერვისების განახლება/გაძლიერება;
- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაინერგა სისტემური რეგისტრაციის ვებგვერდის (slr.napr.gov.ge) და პროგრამის ახალი ვერსია;
- განხორციელდა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების სარეგისტრაციო მონაცემების სტანდარტიზაცია და გაერო-ს მიერ სანქცირებულ პირთა სიის ავტომატიზაცია;
- დასრულდა მუნიციპალიტეტების რეესტრის სარეგისტრაციო პროგრამის შექმნის ძირითადი სამუშაოები;
- დასრულდა ტექნიკური ინვენტარიზაციის საარქივო მონაცემების დაკავშირება სარეგისტრაციო სისტემასთან და მიწის სააღრიცხვო ბარათისთვის ახალი პროგრამული ფუნქციონალის შექმნა;
- შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს შენობებში განთავსებული საკუთრების ობიექტების სრულყოფილ აღწერას.

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

1. **ინდიკატორის დასახელება –** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის გაძლიერება

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – დაწყებული ანალიტიკური და მოსამზადებელი სამუშაოები

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის გაძლიერება (60%)

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის გაძლიერება (24%)

ცდომილების მაჩვენებელი – 20-30%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა დაგეგმილი იყო 2027 წლისთვის.

2. **ინდიკატორის დასახელება –** ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მეშვეობით სივრცითი მონაცემების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი – დაწყებული ანალიტიკური და მოსამზადებელი სამუშაოები

მიზნობრივი მაჩვენებელი – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მეშვეობით სივრცითი მონაცემების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილებული 6 000 მოთხოვნა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი: მიმდინარეობდა ანალიტიკური და მოსამზადებელი სამუშაოები.

ცდომილების მაჩვენებელი (10% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მეშვეობით სიცრცითი მონაცემების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილებული მოთხოვნები ვერ შესრულდა, რადგან არსებობდა გარკვეული სირთულეები როგორც დეველოპმენტ გუნდის დაკომპლექტების პროცესში, ისე საერთაშორისო კონსულტანტების აყვანის პროცესში (დროში გადავადდა).

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა **(პროგრამული კოდი: 26 11)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 11	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	-		425.1		118 865.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

ქალაქ თბილისის სხვადასხვა რაიონში მიმდინარეობდა საველე და საოფისე სამუშაოები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ახალი, შესწორებული მისამართების დასაზუსტებლად და გამოვლენილი ცვლილებების შესამოწმებლად;

დამისამართების ჯგუფის მიერ შესრულდა 44 706 მოთხოვნა, რის შედეგადაც დამისამართების მართვის სისტემაში გამოყენებულ იქნა დამატებული მისამართები მოქალაქეთა რეგისტრაციის, დოკუმენტების გაცემის ან/და სხვა მიზნებისათვის; ქალაქ თბილისის სხვადასხვა რაიონში დამისამართების ჯგუფები გავიდნენ 1 331 მისამართზე. აღნიშნული მოთხოვნებისა და საველე სამუშაოების შესაბამისად გასწორდა 75 547 მოქალაქის ჩანაწერი;

სააგენტოს ბიზნესპროცესებში დაინერგა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუნიციპალიტეტების მიერ დამისამართების შედეგად მისამართზე იდენტიფიცირებული მოქალაქეების მონაცემები. პროგრამაში შეყვანილია 10 რაიონის 168 სოფლის 40 249 მისამართი, რომლებზეც იდენტიფიცირებულია 339 043 მოქალაქის ჩანაწერი ახალი ნუმერაციით;

სააგენტოს ათწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში გაციფრულებულია 10 000 000 სამოქალაქო აქტი. მიმდინარეობდა დიგიტალიზებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერების მონიტორინგი, მონაცემთა ბაზაში დუბლირებული აქტების გაუქმება,

საქმისწარმოების პროცესში ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, დამატებით გაციფრულდა 23 433 სამოქალაქო აქტი;

მიმდინარეობდა ეროვნული არქივისათვის გადასაცემი, ცენტრალურ არქივში დაცული 1936-1947 წლების გაციფრულებული სამოქალაქო აქტების ჩანაწერების მონიტორინგი;

საარჩევნო სიების სრულყოფის მიზნით ერთმანეთს დადარდა ID ბაზასა და სამოქალაქო აქტების ბაზაში იდენტური მონაცემების მქონე 43 856 მოქალაქის მონაცემი, რომლებსაც სამოქალაქო აქტების ბაზაში არსებულ დაბადების აქტებში არ უფიქსირდებოდათ პირადი ნომერი. იდენტურობა დადგინდა და პირადი ნომერი დაემატა 38 854 მოქალაქის დაბადების აქტს. 2 568 აქტის ჩანაწერი ხარვეზიანი იყო და შესასწორებლად გადაიგზავნა შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში; 2 434 შემთხვევაში იდენტურობა არ დადასტურდა;

რეგისტრაციის მისამართზე გადამოწმდა 17 473 სავარაუდოდ გარდაცვლილი მოქალაქე. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შედგა და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა 3 097 გარდაცვალების ოქმი. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტოს სამოქალაქო აქტების ბაზაში პირადი ნომერი დაემატა 245 მოქალაქის გარდაცვალების აქტს და მათი დოკუმენტები გაუქმდა მიზეზით – გარდაცვალება. გარდაცვლილი მოქალაქეები ამორიცხული არიან პოტენციურ ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან;

დამუშავდა ძველი, ლამინირებული პირადობის მოწმობის მფლობელი 10 505 მოქალაქის მონაცემი, მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაცია პირადობის მოწმობის გამოცვლის აუცილებლობისა და სააგენტოში მიმდინარე აქციის შესახებ. დაკავშირება მოხერხდა 6 657 მოქალაქესთან. მონაცემების დამუშავების პროცესში აღმოჩნდა 180 გარდაცვლილი მოქალაქე, რომელთა გარდაცვალებაც არ იყო რეგისტრირებული სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. შედგა და სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა გარდაცვალების ოქმები. შედეგად, გარდაცვლილი მოქალაქეები ამოირიცხნენ პოტენციურ ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან;

გაიცა 302 471 ბიომეტრიული პასპორტი და 660 555 პირადობის ელექტრონული მოწმობა;

სააგენტომ წარმატებით გაიარა კვალიფიციური სანდო სერვისების მიმწოდებლის საზედამხედველო აუდიტი;

დასრულდა შემოსავლების სამსახურის მონაცემების მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის განახლებულ ვერსიაში მიგრირება;

მომზადდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პირველი, მეორე და მესამე კვარტლის ანგარიშები, რომლებიც შეთანხმდა მსსკ-ის წევრ უწყებებთან და მოთხოვნის შესაბამისად გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციას; ასევე, მომზადდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის ინგლისურენოვანი ვერსია;

დასრულდა მუშაობა მიგრაციის ევროპული ქსელის (შემდგომ – EMN) მიგრაციისა და თავშესაფრის 2023 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშზე, რომელშიც საქართველოს შესახებ ინფორმაციაცაა ინტეგრირებული;

დასრულდა სააგენტოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის – „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“ – დასკვნითი ანგარიშის მომზადება, რომელიც გაიგზავნა ევროკავშირის დელეგაციაში;

დასრულდა მიგრაციისა და თავშესაფრის ეროვნულ ანგარიშზე მუშაობა;

დამტკიცდა „სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიის“ 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმის ფარგლებში, მიმდინარეობდა ერთიანი მიდგომების დანერგვის მსურველი უწყებების შერჩევა-იდენტიფიცირება;

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობდა დამტკიცებული „სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წწ. სტრატეგიის“ აღსრულება, რაც მოიაზრებს სახელმწიფო სერვისების გამცემ უწყებებში ერთიანი მიდგომებისა და პრინციპების დანერგვას სერვისების შექმნის, მიწოდების, განფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის (ორგანიზაციული თვითშეფასების ერთიანი სისტემა (CAF)) და მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა მიმართულებებით

CAF დაინერგა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, სსიპ „იუსტიციის სახლში“, სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროსა“ და სსიპ „სოფლის განვითარების სააგენტოში“;

სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა დაინერგა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, სსიპ „იუსტიციის სახლსა“ და სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“;

განფასების (ABC) მეთოდოლოგია დაინერგა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა“ და სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში“;

ერთიანი მიდგომები სერვისების შექმნისა და მიწოდების მიმართულებებით დაინერგა სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივში“, ხოლო შექმნის მიმართულება დაინერგა სსიპ „სოფლის განვითარების სააგენტოში“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სააგენტოს სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაზრდილია სააგენტოს სერვისების ხელმისაწვდომობა;
- გაუმჯობესებულია საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმები ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

1. **ინდიკატორის დასახელება** – სააგენტოს მიერ განვითარებული სერვისების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს სააგენტოს მიერ განვითარებულია 9 სერვისი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად განვითარებულია, მინიმუმ, 4 სერვისი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – განვითარებულია 5 სერვისი.

2. **ინდიკატორის დასახელება** – მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმების დამტკიცება და წინა წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კვარტალური პროგრეს და წლიური ანგარიშების შემუშავება;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს გამოქვეყნებულია საქართველოს 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში; შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – შემუშავდება და დამტკიცდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. ყოველ წელს შემუშავდება წინა წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კვარტალური პროგრეს და წლიური ანგარიშები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – გამოქვეყნებულია საქართველოს 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში; შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმა.

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (**პროგრამული კოდი: 26 13**)

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**წლიური საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
26 13	სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	-	-	-	-	62,042.2

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

დაინტერესებულ პირებს გაეწიათ სააღსრულებო, გამარტივებული წარმოების, გადახდისუუნარობის, ფაქტების კონსტატაციისა და სხვა მომსახურება;

სააღსრულებო წარმოების ფარგლებში 17 892 საქმეზე მოხდა მორიგება და ვალის განწილვადება, ასევე, მხარეთათვის შესაძლო ნეგატიური შედეგების სიმწვავის შენელება სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით. გარდა ამისა, მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა 10 447 მოქმედება, რაც გულისხმობს ანალიზების, რეკომენდაციებისა და ანგარიშების მომზადებას, აღმასრულებლებთან ერთად მისამართებზე გასვლას, გამოსახლებებსა და დემონტაჟებზე დასწრებას, მხარეებთან შეხვედრების ჩატარებას;

დასრულებულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 291 147 ერთეული, საიდანაც აღსრულდა 234 252 994 საქმე;

სააღსრულებო ფურცლის ელექტრონულად მიღების მიზნით აეწყო კავშირი რუსთავისა და ზუგდიდის სატრანსპორტო კომპანიებთან.

განხორციელდა სააღსრულებო საქმისწარმოების პროგრამის ინტეგრაცია საჯარო გამოქვეყნების ბაზასთან;

აეწყო საფოსტო კავშირი „ქარავან ტრანს ექსპრესთან“;

დასრულდა კავშირის აწყობა სს „კრისტალთან“ მოძიების, ყადაღის/ინკასოს და მოვალეთა რეესტრის შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიმოცვლის მიზნით;

სააღსრულებო ფურცლის ელექტრონულად მიღების მხრივ მიმდინარეობდა კავშირის აწყობა ქუთაისის ზედამხედველობის სამსახურთან;

მიმდინარეობდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და მუშაობა სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესებაზე;

მიმდინარეობადა კავშირის აწყობა სს მიკრობანკ „ემ ბი სი“-თან და სს „იშ“ ბანკთან მოძიება, ყადაღა/ინკასოს და მოვალეთა რეესტრის შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიმოცვლის მიზნით;

დასრულდა კავშირის აწყობა სს „ჰეშ“ ბანკთან მოძიება, ყადაღა/ინკასოს და მოვალეთა რეესტრის შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიმოცვლის მიზნით;

მიმდინარეობდა იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ების ერთიანი საბილინგო სისტემის დანერგვა;

დასრულდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდის განახლება;

აღსრულების ეროვნული ბიურო აღმასრულებელთა ევროპულ კავშირს (UEHJ) შეუერთდა;

მიმდინარეობდა მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ქვემიმართულების – ორგანიზაციული თვითშეფასების ევროპული მოდელის – „შეფასების ერთიანი სისტემის“ (Common Assessment Framework (CAF) დანერგვაზე;

ბიურომ წარმატებით დანერგა ორგანიზაციული თვითშეფასების ევროპული მოდელი – „შეფასების ერთიანი სისტემა“ (Common Assessment Framework - CAF);

გამარტივებული საქმისწარმოების მიმართულებით:

- მიღებულ იქნა 15 383 სააპლიკაციო განაცხადი;
- ყადაღა დაედო 6 776 უძრავ/მოძრავ ქონებას;
- დავალიანების გადახდის შესახებ ბრძანება გამოიცა 10 884 საქმეზე;
- უარი ბრძანების გამოცემაზე ეთქვა 723 აპლიკანტს;
- მხარეთა შორის მორიგება დამტკიცდა 6 063 საქმეზე;

- ხარვეზის გამოუსწორებლობის/დაუშვებლობის მიზეზით განმცხადებლებს დაუბრუნდათ 421 საქმე;
- სხვადასხვა შედეგით გამარტივებული წარმოება დასრულდა 14 518 საქმეზე.

წარმოება მიმდინარეობდა 61 409 სააპლიკაციო განაცხადზე. მათი 13,5 % წარმოადგენდა საქმეებს, სადაც მხარეებმა გამარტივებული საქმისწარმოების დეპარტამენტის ჩართულობით მიაღწიეს შეთანხმებას, დამტკიცდა მორიგება და ხორციელდება დავალიანებების ეტაპობრივად გადახდა;

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების მიმართულებით წარმოებაში იყო 73 საქმის განხილვა (მეურვეობის 15 საქმე, გაკოტრების 51 საქმე, სააუქციონო მომსახურების 7 განაცხადი), საიდანაც დასრულდა 22 საქმე (6 – მეურვეობის, 14 – გაკოტრების საქმე, 2 – სააუქციონო მომსახურება);

განხილულ იქნა 45 განაცხადი კრედიტორული მოთხოვნის შესახებ, ჩატარდა კრედიტორთა 110 კრება. განხილულ იქნა ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული განცხადებები და გაიცა 32 ნებართვა, მომზადდა 3 შესაგებელი და ჩატარდა 119 აუქციონი; მეურვეობის რეჟიმიდან რეაბილიტაციაზე გადავიდა 1 საქმე.

ფაქტების კონსტატაცია – სულ შემოვიდა 1 460 განაცხადი, აღსრულდა 1 124 ერთეული, დამთავრდა 385 ერთეული.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულებული საქმეები;
მორიგებით დასრულებული გამოსახლების საქმეები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

გაუმჯობესდა სააღსრულებო საქმეთა აღსრულების მაჩვენებლები;
გაიზარდა მორიგებით დასრულებული საქმეების რაოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება –** აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წლისთვის აღსრულდება 100 000 საქმე

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად 2 000-ით მეტი საქმის აღსრულება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – აღსრულდა 234 252 საქმე

ცდომილების მაჩვენებელი 10%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2024 წელს აღსრულებული საქმეების დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებელთან მიმართებით გადაჭარბება გამოწვეულია სააღსრულებო ფურცლის მომართვიანობის ზრდით.

2. ინდიკატორის დასახელება – მორიგებით დასრულებული გამოსახლების საქმეების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს გამოსახლების საქმეების 90% დასრულებული იქნება მხარეთა შორის მორიგებით

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – საქმეების 95% მორიგებით დასრულდა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – გამოსახლების საქმეების 86% დასრულდა მხარეთა შორის მორიგებით

ცდომილების მაჩვენებელი 5%; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

2024 წელს გამოსახლების საქმეების 86% დასრულდა მხარეთა შორის მორიგებით, დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებელთან 9%-ით ნაკლები ოდენობით, რადგან, მხარეთა მორიგებით საქმეების დასრულება დამოკიდებულია ორ მხარეს შორის შეთანხმების მიღწევაზე, რიგ შემთხვევებში, საქმეების სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ ხდებოდა მხარეთა შორის დავების მორიგებით დასრულება, ასევე, შემოსული საქმეების გაზრდილმა რაოდენობამ დაწია მორიგების პროცენტული მაჩვენებელი.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება **(პროგრამული კოდი: 26 12)**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
26 12	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	-	-	-	-	3,617.0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“ განახორციელა ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფა. გამოქვეყნდა 7 860 დოკუმენტი, მათ შორის, დარეგისტრირდა 4 344 აქტი; სისტემატიზებულ იქნა 4 023 აქტი.

მთარგმნელობითი ცენტრი მუშაობდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებსა და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ევროკავშირის კანონმდებლობის ქართულენოვანი ვერსიების, შესაბამისი საქართველოს სამართლებრივი აქტების ინგლისურენოვანი ვერსიების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დოკუმენტების ქართულენოვანი ვერსიების შექმნაზე მათი საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე ეტაპობრივად განთავსებისთვის (https://matsne.gov.ge);

მთარგმნელობითი ცენტრი აგრძელებდა მუშაობას:

- ჟურნალ „იუსტიციის“ მორიგი გამოშვებების მასალებზე. მიმდინარეობდა საქართველოს სამართლებრივი აქტებისა და ევროკავშირის სამართლებრივი აქტების თარგმნა/რედაქტირება, აგრეთვე, იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურიდან

და სხვა სამთავრობო სტრუქტურებიდან შემოსული დოკუმენტების თარგმნა და რედაქტირება;

- ევროკავშირის სამართლებრივი აქტების დახარისხებაზე, მათ ინვენტარიზაციასა და აქტების ტექსტების მთარგმნელობით პროგრამაში ასახვაზე, ასევე, ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ქართულენოვანი ვერსიების შესაბამის დამუშავება-დაფორმატებაზე მათი საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე ეტაპობრივი განთავსების მიზნით;
- საქართველოს კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინოლოგიის დამუშავებასა და მაცნეს მთარგმნელობითი ცენტრის სერვერული ტერმინოლოგიური ბაზის და მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ ლექსიკონის მუდმივ განახლებაზე.

მთარგმნელობითმა ცენტრმა თარგმნა 9 სამართლებრივი აქტი და ევროკავშირის კანონმდებლობის 93 დოკუმენტი.

მთარგმნელობითი ცენტრის მიერ ითარგმნა 8 424 გვერდი, მათ შორის:

- სამართლებრივი აქტების 375 გვერდი და მათში შეტანილი ცვლილებების 1 155 გვერდი, რომელთა ნაწილი ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე;
- ევროკავშირის კანონმდებლობის 4 995 გვერდი;
- სხვადასხვა სტრუქტურიდან მიღებული დოკუმენტების 1 899 გვერდი.

დარედაქტირდა 6 877 გვერდი;

ტერმინოლოგიურ ბაზას დაემატა 2 000-მდე ახალი ტერმინი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი

სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ზრდა

მიღწეული საბოლოო შედეგი

გაიზარდა სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

ინდიკატორის დასახელება – ავტორიზებული მომხმარებლის რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – 6000 მომხმარებელი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი – ყოველწლიურად დამატებით 100 მომხმარებელი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი – სულ დარეგისტრირებულია 7 928 ავტორიზებული მომხმარებელი.

ცდომილების მაჩვენებელი +/-30 მომხმარებელი; განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებელსა და მიღწეულ საბოლოო შედეგს შორის არსებული ცდომილება გამოწვეულია მოქალაქეებში სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მიმართ ცნობადობის მეტად ამაღლებით, რაც გამოწვეულია წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობებისა და ვებგვერდზე განთავსებული, საქართველოში მცხოვრები უმციროსობების ენაზე ნათარგმნი სამართლებრივი აქტების რაოდენობის ზრდით.